http://www.tsu.ge/newspaper

# თბილისის უნივერსიტეტი

5 ოქტომბერი
ხუთშაბათი
N1 (2046)
2006 წელი

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან ფასი 30 თეთრი

# თბილისი საუნივერსიტეტო ქალაქი უნდა გახდეს!

## 2 ოქტომბერს ახალი სასწავლო წელი დაიწყო



2 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა განახლდა. სასწავლო წლის დაწყება პირველკურსელებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ და უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ მიულოცეს. ,,პირველკურსელებს დახვდათ უნივერსიტეტი, რომელიც თამამად დაადგა რეფორმისა და განახლების გზას. სტუდენტებს ექმნებათ შესაძლებლობა — მიიღონ ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება." — აღნიშნა რექტორმა.

სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა გიგი უგულავამაც მიულოცა. მან უნივერსიტეტის ეზოში ახალი ფეხბურთის სტადიონიც გახსნა და პირველი გოლიც გაიტანა.

„თბილისი უკვე არის სინათლისა და სისუფთავის ქალაქი. მაგრამ იგი საუნივერსიტეტო ქალაქიც უნდა გახდეს! სულ მალე დადგება დრო, როცა ქართველ ახალგაზრდას სასწავლებლად წასვლა არსად აღარ დასჭირდება. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით შეგიქმნათ საუნივერსიტეტო გარემო", — განაცხადა გიგი უგულავამ.

სასწავლო წლის დაწყება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე თანამედროვე დონის სასემინარო იურიდიული ბიბლიოთეკა გაიხსნა. ბიბლიოთეკის პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი. ახლადგახსნილ სამკითხველოში 20 ათასზე მეტი იურიდიული სახელმძღვანელო, მონოგრაფია და პერიოდული გამოცემაა. ბიბლიოთეკამ 2 ოქტომბრიდანვე დაიწყო ფუნქციონირება.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები უნივერსიტეტის ეზოში კონცერტით დასრულდა.

## ანონსი

### ერლანგენის ამაჩქარებელს თბილისში გადმოიტანენ (?)

ÌÄ-9 ÂÅ.

### ყველა ქართული სიტყვა ინგლისურად



დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი გამოვიდა

ÌÄ-8 ÂÅ.

### ექსპედიციის წევრებს ფარავნის ტბაში ოქრო ეგულებათ (?)



ÌÄ-10 ÂÅ.

## მთავარია, არ იყო შინაგანად გაორებული!

ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გიორგი ხუბუასთან



— სამეცნიერო ელიტის დიდი ნაწილი აღიარებს საუნივერსიტეტო რეფორმების გატარების აუცილებლობას. თქვენ, როგორც რექტორის მოვალეობის შემს-

მე-3 გვერდზე

## ჩვენ მისჯილი გვაქვს გმირობა?!

5 ოქტომბერი მსოფლიო მასწავლებელთა დღეა

ნინო კაკულია

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ჩვენი მენტალიტეტი ნაკლებად შეცვალა. დღემდე მუშაობს ის თეზისი, რომ მასწავლებელი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას იმდენად ახდენს თვითრეალიზაციას, რომ მისთვის ხელფასი მეორეხარისხოვანია; რომ მასწავლებელი არ უნდა იყოს შრომის ანაზღაურებაზე ორიენტირებული თუნდაც იმის გამო, რომ მას ადამიანის სულთან აქვს კავშირი და ეს უფრო მნიშვნელოვანია. შეფასების ეს კრიტერიუმი ჩვენთან ისევ მოქმედებს. დრო და გარემო კი მასწავლებლისთვისაც რომ მკაცრი გახდა, ამის აღი-

მე-6 გვერდზე

## სტუდენტი ირჩევს, სტუდენტი აფასებს

რა უნდა იცოდეს, პირველ რიგში, პირველკურსელმა

მაია ტორაძე

საქართველოში მიმდინარე რეფორმებს შორის უმნიშვნელოვანესია უმაღლესი განათლების რეფორმა, რომელიც სიღრმისეულად ცვლის სწავლისა და სწავლების პრინციპებს. მოდერნიზაციის აუცილებლობა გამოიწვია შეუსაბამობამ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციასა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს შორის.

ბოლონიის პროცესი, რომელსაც ევროპის 45 ქვეყანასთან ერთად საქართველოც შეუერთდა, გულისხმობს ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებასა და შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის პროცესშიც სტუდენ-

მე-4-5 გვერდებზე

## თუკი საქართველო ზემოქმედებას გაუძლებს, მოსკოვი იძულებული იქნება, უკან დაიხიოს

მალხაზ მაცაბერიძე

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები არა მარტო ამ ორი ქვეყნის საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, არამედ მსოფლიო მედიისა და პოლიტიკის ინტერესის საგანიცაა. დღეს თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები უაღრესად დაძაბულია და ურთიერთპრეტენზიებიც ინტენსიურად გაისმის. მთელი ამ უზარმაზარი საინფორმაციო ნაკადის და პოლიტიკურ ქმედებათა არსი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად გადმოიცეს: საქართველო რუსეთის ხელისუფლებისაგან ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას მოითხოვს; რუსეთის დღევანდელი ხე-

მე-8 გვერდზე

## არ გავქრეთ მსოფლიოს ამ უკანასკნელ გაღიმებაში...

ნინო კაკულია



2005 წლის 26 ნოემბერს გორში, მერაბ მამარდაშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე, ამ უდიდეს ფილოსოფოსზე კრებულის გამოცემის იდეა დაიბადა. იდეის ავტორები შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული

მე-11 გვერდზე

ერთიანი ეროვნული გამოცდები

# ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აბიტურიენტთა ყველაზე მეტი განაცხადი შევიდა

*ერთიანი ეროვნული გამოცდები 2006 დასრულდა. გამოცდების შედეგად 19 ათას 479 აბიტურიენტი საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. სრული ან ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსება 8 ათას 271-მა სტუდენტმა მიიღო.*

*საქართველოს განათლების სისტემაში ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმამ დაადასტურა, თუ როგორ შეიძლება საზოგადოება განიკურნოს ისეთი სენისაგან, როგორიცაა ქრთამი და კორუფცია.*

თემურ ჭუმბურიძე

წელს ერთიანი ერონული გამოცდების მიმდინარეობას 4 საერთაშორისო და 56 ადგილობრივი ექსპერტი აკვირდებოდა. საერთაშორისო ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გამოცდებმა გამჭვირვალედ და წარმატებით ჩაიარა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი საზოგადოების განწყობა იყო. ორგანიზაციამ "საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალ სისტემასთან დაკავშირებით აბიტურიენტებისა და მათი მშობლების გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვაში 2 242 აბიტურიენტი და ამდენივე მშობელი მონაწილეობდა. აბიტურიენტთა 81-მა და მშობელთა 97-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ გამოცდები წარმატებით ჩატარდა და ასეთი ფორმა ხელს უწყობს კორუფციის შემცირებას.

ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებულად მიაჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს **მაია მიმინოშვილს**. მისი განცხადებით, ყველაზე დიდი სიახლე აბიტურიენტთა გასწორებული ნაშრომების ქსეროასლის ინტერნეტით გამოქვეყნება იყო. **„შარშან ტექნიკურად შეუძლებელი გახლდათ აბიტურიენტთა გასწორებული ნაშრომების პირადად გადაცემა. წელს კი შევძელით ყველა აბიტურიენტისთვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა საკუთარი ნაშრომის ნახვა გასწორების შემდეგ და შესაბამისად, გაგვეთვალისწინებინა მათი პრეტენზიები**", — განაცხადა მიმინოშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნული სიახლე საერთაშორისო ექსპერტებმა მსოფლიოში უნიკალურ სისტემად აღიარეს.

მისივე ინფორმაციით, მომავალი წლისთვის იგეგმება სიახლე, კერძოდ, რეგისტაციის ყველა მსურველი ონლაინ რეჟიმში ინტერნეტით შეძლებს განაცხადის გაგზავნას, როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი პაატა ქურდოვანიძე 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებულს უწოდებს:

„აბიტურიენტთა სხვადასხვა კონტინგენტი დამსახურებულად გადანაწილდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო ის ხარვეზები, რომლის გამოსწორებასაც მომავალი წლიდან ვისურვებდი. პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ დღევანდელი ტექნიკური შესაძლებლობები საშუალებას უნდა გვაძლევდეს, უმოკლეს დროში ვაცნობოთ აბიტურიენტებს გამოცდების შედეგები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მხოლოდ ერთი საგანი, ზოგადი უნარ-ჩვევები არ უნდა განსაზღვრავდეს სახელმწიფო გრანტის მიღებულ რაოდენობას."

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, **ბელა წიფურია** მიიჩნევს, რომ გასულ წელთან შედარებით, წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები გაცილებით წარმატებით ჩატარდა.

„ის, რომ აბიტურიენტებს საკმაოდ დიდხანს უწევთ ლოდინი შედეგების გასაცნობად, ელემენტარული ორგანიზაციული საკითხია. მერწმუნეთ, მინიმუმ 32 ათასი აბიტურიენტის ნამუშევრების წაკითხვას და კვალიფიციურ დონეზე შემოწმებას ხანგრძლივი მუშაობა და დრო სჭირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით აბიტურიენტებს წელს პირველად ჰქონდათ საშუალება, შეფასებამდე გაცნობოდნენ თავიანთ ნამუშევრებს. გამოცდების შედეგები კი ინტერნეტისა და სარეგისტრაციო პუნქტების საშუალებით შეიტყვეს. ქვეყნის მასშტაბით სულ 14 პუნქტი არსებობდა.

შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი ნაშრომი გაეპროტესტებინათ. სააპელაციო საბჭოს მუშაობის დასრულებისთანავე გამოქვეყნდა პირველ ეტაპზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია, რის შემდეგაც აბიტურიენტებს შესაძლებლობა მიეცათ, განაცხადები გაეკეთებინათ დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე.

რაც შეეხება, ზოგადი უნარების ტესტის შედეგის მიხედვით სახელმწიფო გრანტის მიღებას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განმარტავენ, რომ უნარების ტესტი არის ერთადერთი, რომლის დროსაც ყველა აბიტურიენტი თანაბარ პირობებშია, რადგან იგი გათვლილია ახალი ინფორმაციის გაანალიზების უნარის შესამოწმებლად. „ასევე მნიშვნელოვანია, რომ არაქართველი მოსახლეობა არ აღმოჩნდეს წამგებიან პირობებში", — აცხადებენ სამინისტროში.

მათივე განმარტებით, ტესტის მთავარი დანიშნულება არის ის, რომ შეამოწმოს, შეძლებს თუ არა აბიტურიენტი სწავლის წარმატებით გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში, შეუძლია თუ არა ახალგაზრდას აკადემიური მასალის ადეკვატური გააზრება და ანალიზი.

აღსანიშნავია კიდევ ერთ დიდი წარმატება. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვად გაზრდილია სტუდენტთა დაფინანსება — სახელმწიფო ბიუჯეტში ნახევარი მილიონით მეტია გათვალისწინებული და 6 მლნ 500 ათასი ლარს შეადგენს. აქედან სტუდენტების ნაწილი დაფინანსდება 100%, 70%, 50%, და 30%-ით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პირველი, მეორე და მესამე რანგის სტუდენტებისათვის ამოქმედდება სტუდენტური სესხების სისტემა. სესხის გასტუმრების ვადა განსაზღვრულია 9,5 წლით.

რაც შეეხება სტატისტიკას, ისევე, როგორც გასულ წელს, ყველაზე მეტი განაცხადი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა. 2982 ადგილისთვის 27024 აბიტურიენტი იბრძოდა, რომელთა შორის 11212-მა თსუ პირველ კატეგორიად მიუთითა.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მაღალი კონკურსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დაფიქსირდა. 750 ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას 3851 (პირველი ნომერი), 864 (მეორე ნომერი) აბიტურიენტი აცხადებდა. შემდეგ მოდიოდა იურიდიული ფაკულტეტი.**

რაც შეეხება, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, აქ სწავლის მსურველთა რიცხვი საგრძნობლად არის შემცირებული. მაგალითად, სამშენებლო ფაკულტეტის 175 ადგილზე პირველ ნომრად სწავლის სურვილი 163-მა, მეორე ნომრად კი 210-მა აბიტურიენტმა გამოთქვა.

აბიტურიენტები პრესტიჟულად არ მიიჩნევენ პედაგოგობას. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტის 673 ადგილზე პრეტენზიას პირველ ნომრად 503, მეორე ნომრად 534 აბიტურიენტი აცხადებდა.

ქართველი ახალგაზრდები ტრადიციულად უარს არ ამბობენ ხელოვნების სფეროში მოღვაწეობის სურვილზე. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დრამის ფაკულტეტის 53 ადგილზე პირველ ნომრად სწავლის სურვილი გამოთქვა 282-მა აბიტურიენტმა, მეორე ნომრად 67-მა, კინოტელე ფაკულტეტის 45 ადგილზე პირველი ნომერი 150, მეორე ნომერი 138 განაცხადია.

კვლავ პრესტიჟულია სამედიცინო განათლება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის 519 ადგილზე მოხვედრას პირველ ნომრად 1327 და მეორე ნომრად 259 აბიტურიენტი ცდილობდა.

## სანდრა რულოვსი:

# „სოციალური მუშაკის ფუნქციის შესრულება ხშირად მიწევდა"

### ახალი სპეციალობა – სიციალური მუშაობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტმა 4 ოქტომბერს ახალი სპეციალობის — სოციალური მუშაკის პრეზენტაცია მოაწყო.

პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი აკადემიური კურიკულუმისა და სასწავლო პროგრამის შემუშავების შედეგად სოციალური მუშაკის საუნივერსიტეტო განათლების დაფუძნებას საქართველოში.

დიდი ბრიტანეთის შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის პროფესორმა, მარკ დოელმა, რომელიც ამ პროექტის აკადემიური ხელმძღვანელია, მიღწეული შედეგები ქართული მხარის მიზანმიმართულ და რუტინულ შრომას დაუკავშირა. მან წარმოადგინა სასწავლო გეგმის ერთი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისთვის აუცილებელი სასწავლო პირობების შექმნას.



პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გიორგი ხუბუა და პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტების დელეგაცია დიდი ბრიტანეთის შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის პროფესორის, მარკ დოელის ხელმძღვანელობით.

სოციალური მუშაკის განათლების პროექტი ფინანსდება ევროკომისიის **TEMPUS**-ის პროგრამის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში.

როგორც პროექტის დაფუძნების ერთ-ერთმა ინიციატორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა აღნიშნა, სოციალური მუშაკის პროფესია გულისხმობს საზოგადოებისაგან გარიყული, მარგინალური ჯგუფებისა და ინდივიდების საზოგადოებასთან ინტეგრაციას. მისი თქმით, ამ ტიპის განათლების დაფუძნება არ არის მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის დაკმაყოფილება. მისი საჭიროება თანდათან და მკაფიოდ გაცნობიერდა ქართულ საზოგადოებაში, რაშიც სხვა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დიდი შრომა გასწიეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტრომ.

როგორც იაგო კაჭკაჭიშვილმა აღნიშნა, საქართველოში პირველად მოამზადებენ საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების მქონე მუშაკებს, რომელთა სასწავლო პროგრამები სრულ შესაბამისობაშია დასავლეთში აპრობირებულ სასწავლო პროგრამებთან, თუმცა ის არ არის ამ პროგრამების ანალოგი. მის შედგენაში მონაწილეობდნენ სოციალურ მუშაკთა საქართველოს ასოციაციის წევრები, რომელთაც დასავლური განათლება აქვთ მიღებული. პროგრამა ითვალისწინებს როგორც დიპლომის, ასევე სერტიფიკატის გაცემას პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისათვის.

სოციალური მუშაობის აქტუალურობასა და საქართველოში მისი დამკვიდრების აუცილებლობაზე ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ. მან განსაკუთრებით გამოყო საზოგადოებისაგან გარიყულ, მარგინალურ ჯგუფებთან და ინდივიდებთან დიალოგის პრობლემა და მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებსა და პარტნიორებს საუნივერსიტეტო სწავლების დაფუძნებაში დახმარებისათვის.

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა საზოგადოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა თანაგრძნობა და თანასწორობის შეგრძნება ამგვარი ადამიანების მიმართ.

— საზოგადოების დამოკიდებულება მარგინალური ჯგუფებისა და სხვა და სხვა უნარშეზღუდული ადამიანის მიმართ არ არის ერთგვარი. სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით აღმაშფოთებელ ფაქტებს. მაგალითად, ექსკურსიიდან მომავალი ერთ-ერთი საბავშვო სახლის აღსაზრდელები სადილის საჭმელად არ მიიღეს მცხეთაში მდებარე რესტორან „ხიდეშლების" მესვეურებმა იმ მიზეზით, რომ მათი ეტლების დასადგმელად სკამებს ვერ გადააადგილებდნენ. სახალხო დამცველის ჩარევა დასჭირდა ერთ-ერთ სკოლაში შექმნილი პრობლემის მოგვარებას: ინვალიდის ეტლში მჯდომ ბავშვს ძმები ხელით დაატარებდნენ სკოლის IV სართულზე. როცა მოვითხოვეთ უნარშეზღუდული ბავშვისთვის პირობების გასაადვილებლად კლასის II სართულზე გადმონაცვლება, სკოლა თავად შეგვეწინააღმდეგა. უფრო მეტიც — პედაგოგები თანაკლასელებს ინვალიდი ბავშვის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. აქედან გამომდინარე, სოციალური მუშაკის პროფესია აუცილებელია, რომ შეიცვალოს საზოგადოებრივი კლიმატი საქართველოში, რისთვისაც სახალხო დამცველის ოფისი მზადაა, მათ დახმარება გაუწიოს, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა პროექტის დაფუძნების გამო ქალბატონმა სანდრა რულოვსმა:

**— მიხარია, რომ ქართულ საზოგადოებაში უკვე სათანადო ცოდნით აღჭურვილი სოციალური მუშაკები იმუშავებენ, რადგან მათი ფუნქციის შესრულება მე ხშირად მიწევდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მზადდება მთელი პაკეტი სოციალური მუშაკის კანონმდებლობაში აღიარებისათვის, — აღნიშნა მან.**

2006-2007 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილია სტუდენტთა პირველი კურსის მიღება და მათთვის შესავალი კურსის შეთავაზება. ხოლო განათლების საერთაშორისო ცენტრი აპირებს გაცვლითი პროგრამების განხორციელებას ვაშინგტონისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებთან.

სოციალური მუშაკის პროფესიის დაფუძნება არ არის მხოლოდ უნივერსიტეტის ინიციატივა. ის სახელმწიფო ზრუნვის ობიექტია.

მოკლედ

# უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდა

29 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდა.

აკადემიური საბჭო თსუ-ს მართვის ორგანოა, რომლის უფლებამოსილებას განსაზღვრავს „განათლების შესახებ" კანონი.

აკადემიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას; ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროგრამებს; თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს — რექტორს და ახორციელებს სასწავლო დაწესებულების მართვის სხვა ფუნქციებს.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 7 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე აკადემიური საბჭოს საერთო რაოდენობა განისაზღვრა 12 წევრით. უნივერსიტეტის ექვსმა ფაკულტეტმა აკადემიურ საბჭოში ორ-ორი წევრი აირჩია:

მარინა ჩხარტიშვილი, ირმა რატიანი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან), ზურაბ დავითაშვილი, გუგული მაღრაძე (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან), ფრიდონ თოდუა, მერაბ კილაძე (მედიცინის ფაკულტეტიდან), კონსტანტინე კორკელია, გიორგი დავითაშვილი (იურიდიული ფაკულტეტიდან), ალექსანდრე შენგელაია, ელიზბარ ნადარაია (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან) , ირაკლი კოვზანაძე, რევაზ გველესიანი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან).

**30 სექტემბერს აკადემიური საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით რექტორის არჩევნები 2007 წლის 5 იანვარს ჩატარდება.**

# რექტორის მრჩეველთა საბჭო იქმნება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება რექტორის მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში, სავარაუდოდ, ნუგზარ ალექსიძე, გიორგი თუმანიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ვაჟა ოკუჯავა, გიორგი ტყეშელიაძე, მზექალა შანიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე და ოთარ ჯაფარიძე იქნებიან. მოლაპარაკებები სხვა პროფესორებთანაც გრძელდება.

მრჩეველთა საბჭოს წევრები მონაწილეობას მიიღებენ რექტორატისა და აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებებისა და პროექტების განხორციელებაში. ასევე, თვალყურს მიადევნებენ სასწავლო პროცესს, ერთგვარად გააკონტროლებენ ლექციების ხარისხსა და შეაფასებენ სამეცნიერო მიმართულების საქმიანობას. მრჩეველთა საბჭოს წევრის ნუგზარ ალექსიძის თქმით: „საბჭოს მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრი; დავუახლოვდეთ სტუდენტებს და ვითანამშრომლოთ მათთან; ჩავაბათ ისინი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში; დავესწროთ ლექციებს, შევამოწმოთ პრაქტიკული სამუშაოების ხარისხი; ასევე, ჩვენი პრეროგატივაა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მომზადება და ჩატარება, სტუდენტთა სამეცნიერო კრებულების გამოცემა."

რექტორის მრჩეველთა საბჭოში დიდი გამოცდილების მქონე პროფესორების შეყვანა და მათთან თანამშრომლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს უნივერსიტეტში მათი მოღვაწეობის აუცილებლობას.

# მთავარია, არ იყო შინაგანად გაორებული!

**ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან გიორგი ხუბუასთან**

ნინო კაკულია

**რულებელი, აღმოჩნდით საკმაოდ დიდი დარტყმის ქვეშ თქვენი ოპონენტებისგან. ერთადერთი თავდაცვის საშუალება, ალბათ, თქვენი სამართლიანობა და მიუკერძოებლობაა. რამდენად შეძელით რეფორმის დაწყების გარდაუვალობის დასაბუთება?**

— უნივერსიტეტში დაგეგმილი ცვლილებები, ამ ზაფხულს, მართლაც დაძაბულ, ემოციურ ფონზე წარიმართა, მაგრამ ეს ვნებათაღელვა, საბედნიეროდ, თანდათან ჩაცხრა. საუნივერსიტეტო რეფორმა, ზოგადად, მგრძნობიარე თემაა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოება ტრადიციულად კონსერვატორული საზოგადოებაა, რომელიც ყოველგვარი ცვლილების მიმართ ზედმეტად ემოციურია, უფრო გასაგები გახდება მათი რეაქცია. საქართველოში უნივერსიტეტი ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელსაც ცვლილებები დღემდე არ შეხებია. უნდა ითქვას ისიც, რომ აკადემიურ თანამდებობებზე პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსის წესით გადაყვანა - ეს საუნივერსიტეტო რეფორმის მხოლოდ ერთი, მნიშვნელოვანი, მაგრამ პატარა ეპიზოდია. ჩვენ უკვე მოგვიწევს აქტიური მუშაობის დაწყება უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განახლების თვალსაზრისით — ეს ეხება, როგორც სასწავლო პროგრამებს, ასევე, სწავლების მეთოდებს და საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვა წმინდა აკადემიურ პრობლემებს. რეფორმები, ცხადია, წარიმართება უფრო დინამიურად, მაგრამ დინამიზმი არ ნიშნავს ავტომატურად ნევროზულ ატმოსფეროს. ეს იქნება საქმიანი ტემპისთვის დამახასიათებელი დინამიზმი, რასაც ჩვენს სტუდენტებს დავპირდი, ანუ ადმინისტრაციის უმთავრესი ამოცანაა — დინამიზმი ნევროზის გარეშე!

**— თქვენი დაპირება, რომ „უნივერსიტეტი არ დაკარგავს არც ერთ ღირსეულ კადრს", რამდენად შესრულდა, თუ გავითვალისწინებთ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგებს? რამდენად მოახერხეთ, უნივერსიტეტს შეენარჩუნებინა ის სამეცნიერო ელიტა, მიუხედავად მისი პოზიციებისა, რომლის გამოცდილებაც ღირებულია დღევანდელი სტუდენტისათვის?**

— ეს მიზანი ნაწილობრივ უკვე განხორციელდა. არავინ იფიქროს, რომ ეს ცვლილებები ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, ადვილი გასატარებელი იყო. ამდენადაც, შემიძლია კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ პროფესორთა ის ნაწილი, რომელიც ჩვენს მიერ წამოწყებულ ცვლილებებს საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამდა და ღიად აპროტესტებდა, დღეს უკვე ჩვენთან თანამშრომლობს: იგივე, ბატონი გრიგერ ფარულავა, რევაზ სირაძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ნიკოლოზ ვარხანია და სხვები... მოხარული ვარ, რომ მათთან თანამშრომლობა შედგა. ცხადია, განსხვავებული აზრის გამო, ჩვენ თანამშრომლობას არ შევწყვეტთ არც ერთ ჩვენს კოლეგასთან. უნივერსიტეტში, ამის გაკეთება, სირცხვილიც იქნებოდა. მთავარია, რომ განსხვავებული აზრები გამოითქვას უნივერსიტეტისათვის მხარდაჭერის სურვილით. ჩვენ იმ პერიოდშიც, როდესაც საკმაოდ რთული იყო დიალოგი, ყველას ვეუბნებოდით, რომ შეიძლება პროტესტის ობიექტი იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მაგრამ არ შეიძლება უნივერსიტეტის პროფესორისთვის პროტესტის ობიექტი იყოს თვითონ უნივერსიტეტი. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ჩვენი ოპონენტი თავისი პროტესტის ობიექტად უნივერსიტეტს არ აქცევს. ჩვენ კვლავ ვმუშაობთ აქტიურად ამ მიმართულებით და დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტისთვის ღირებული რამდენიმე პროფესორი აუცილებლად გამოთქვამს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს.

**— რა იდეას მოემსახურება რექტორის მრჩეველთა საბჭო, რომელშიც საკმაოდ პატივსაცემი ადამიანები არიან შესულნი?**

— მრჩეველთა საბჭო არის რექტორის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც საუნივერსიტეტო რეფორმების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე კონსულტაციებს გაგვიწევს. მრჩეველთა საბჭოს წევრები სურვილისამებრ ინტეგრირებულნი იქნებიან სასწავლო პროცესში და, რამდენადაც ვიცი, თითქმის ყველა მათგანს აქვს სალექციო კურსი ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში ან დოქტორანტურაში. მაგრამ ძირითადი მიზანი ამ ორგანოს შექმნისა არის ის, რომ ჩვენ გვინდა პატივსაცემი ხალხის გამოცდილება



გამოვიყენოთ ყველა იმ სიახლის განხორციელების პროცესში, რომელიც დაგეგმილი გვაქვს.

**არის ბევრი რამ, რაც გამოცდილებიდან მოდის — რასაც ვერც წიგნებში და ვერც ბიბლიოთეკაში ვერ ამოქექავ. ის გამოცდილება, რაც მრჩეველთა საბჭოს წევრებს აქვთ, ფასდაუდებელია. მე მოხარული ვარ, რომ ისინი ამ გამოცდილებას რეფორმების პროცესში გაგვიზიარებენ.** გარდა ამისა, მრჩეველთა საბჭოს შექმნის ერთ-ერთი მიზანი ისიც გახლდათ, რომ უნივერსიტეტში დაგეგმილი ცვლილებები თაობათა აქტიური დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატში წარიმართოს. ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ ის ტრადიცია, ის ლამაზი ურთიერთობა, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ყალიბდება.

**— თქვენი აზრით, რამდენად რთულია უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შესრულება? უნივერსიტეტს თავისი სამყარო აქვს — აქ ურთიერთობის სხვა ფორმა, შეფასების სხვა კრიტერიუმი მუშაობს. ამდენად ძნელია ამ სივრცეში ადაპტაცია, თუკი უნივერსიტეტის ძალიან „შინაურ კადრად" არ განიხილება აქ მოსული. თქვენი აზრით, რას მოითხოვენ რექტორისგან და ვინ რა შემთხვევაში იქნება, ასე ვთქვათ, რექტორის მოღვაწეობით კმაყოფილი?**

— მთავარი მოლოდინი, ზოგადად, უნივერსიტეტს უკავშირდება. ეს არის ცვლილებისა და განახლების მოლოდინი. ეს განსაკუთრებით თამამად სტუდენტებთან ურთიერთობისას შეიმჩნევა. აკადემიური საზოგადოებაც მთლიანობაში განწყობილია, რომ უნივერსიტეტში განხორციელდეს სერიოზული ცვლილებები, რომ უნივერსიტეტმა ფეხი აუწყოს დროის შეცვლილ მოთხოვნებს, ახალ გამოწვევას, უფრო ჩქარი ტემპით მოხდეს მისი ინტეგრაცია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. ასეთი განწყობა კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს აზრს უნივერსიტეტში დაგეგმილი ცვლილებების ბოლომდე მისაყვანად.

**მე მივხვდი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც შინაგანად გწამს და გჯერა, რომ ის, რაც კეთდება — არის აუცილებლად გასაკეთებელი. მთავარია, რომ შინაგანად გაორებული არ იყო. გაორების შემთხვევაში შეიძლება გატყდე და ამ სიტუაციაში (ვიცი, რომ არ არის ეს მარტივი, მით უფრო უნივერსიტეტში) განახორციელო ცვლილებები. ამავე დროს, აშკარაა ისიც, რომ ჩვენ ვდგავართ ისტორიულ გასაყართან, როდესაც თამამად უნდა ვთქვათ, რომ უნივერსიტეტი ამაყობს თავისი ტრადიციებით, მაგრამ იგი მხოლოდ წარსული დიდების იმედად არ ცხოვრობს! უკან ყურება არასრულფასოვნების მაჩვენებელია. ყველაზე ცუდი სამსახური, რაც უნივერსიტეტს შეიძლება გაუწიო, ეს არის თვითკმაყოფილება.** რა თქმა უნდა, უნდა იამაყო იმ დიდი ტრადიციებით, რითაც ასე მდიდარია პირველი ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი ხედვა უნდა იყოს მომავლისკენ მიმართული, რაც გულისხმობს დროის მოთხოვნებზე ორიენტირებულ, ისევ და ისევ, ცვლილებას.

**— რამდენად უწყობს ხელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე სამეცნიერო საქმიანობას? რას გეგმავთ ამ მიმართულებით?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდება კვლევითი უნივერსიტეტი. ჩვენ ხშირად აღგვინიშნავს, რომ ერთ-ერთი პრობლემა, რაც ჩანს საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში, არის ის, რომ უნივერსიტეტი გახდა უმაღლესი სკოლა, სადაც გაცილებით უფრო მაღალი სტანდარტებით მიდის სწავლება, მაგრამ არსებითად, მთელი მისი ფუნქცია, მხოლოდ უმაღლესი სკოლის დონემდე დავიდა. ეს სიტუაცია რადიკალურად უნდა შეიცვალოს. კვლევითი უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაზე აგებული ჩვენი სტრატეგია გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის პროფესორის მხრიდან ჩვენ გვექნება, და უნდა გვქონდეს, არა მარტო იმის მოლოდინი, რომ ის ასწავლის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, არამედ განახორციელებს კვლევებს. **მე მოხარული ვარ, რომ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც 146 სხვადასხვა ორგანიზაცია მონაწილეობდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ყველაზე მეტი გრანტი მოიპოვა.** გრანტული წესით დაფინანსება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი სამეცნიერო კვლევების განვითარებისა. ამ ფორმით ჩვენ უნივერსიტეტშიც გავაგრძელებთ მუშაობას. დაგეგმილი გვაქვს სამეცნიერო კვლევების ფონდის შექმნა. ამ ფონდში შემოტანილ განაცხადებს უნივერსიტეტი თვითონვე დააფინანსებს. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს საბაზო დაფინანსება, რომლის ნაწილი მოხმარდება სამეცნიერო კვლევების განხორციელებას. ჩვენი აზრით, სამჯერ, ოთხჯერ გაზრდილი ხელფასი, რომელსაც დღეს აკადემიური პერსონალი იღებს (შეიძლება დღეს არც თუ ისეთი შთამბეჭდავი იყოს), მოგვცემს საშუალებას, რომ აქ დასაქმებულ პერსონალს სამეცნიერო კვლევების წარმოება მოვთხოვოთ. გარდა ამისა, ჩვენ გვექნება ინდივიდუალური კონტრაქტებიც, ცალკეულ პიროვნებებთან და მეცნიერებთან კვლევითი ხასიათის პროექტების განსახორციელებლად.

**— სტუდენტებს, ახალ სასწავლო პროგრამებთან და სწავლების ახალ ფორმასთან დაკავშირებით არაერთი შეკითხვა აქვთ ადმინისტრაციის მისამართით. ზოგიერთმა მათგანმა პროტესტი გამოხატა და დასვა შეკითხვა — რატომ დახვდათ გაუქმებული სპეციალობა, რომელზეც სწავლობდნენ? ეს ეხება ამერიკანისტიკის, საგამომცემლო საქმის, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) და ა.შ. სპეციალობების გაუქმებას...**

— ამერიკანისტიკა ნამდვილად არ გაუქმებულა. ეს არის ინტერდისციპლინური კურსი და სავარაუდოდ, სამაგისტრო კურსის სახით წაიკითხება.

ჩვენ გვინდა ვიყოთ სტუდენტებთან გულწრფელნი. ამიტომ გვირჩევნია, ახლავე ვუთხრათ სიმართლე მათ, რომ ზოგიერთი სპეციალობა უნივერსიტეტმა მხოლოდ ვიწრო კომერციული ინტერესის საფუძველზე გახსნა. გულწრფელად ვიტყვი — ეს იყო ერთგვარი სატყუარა, რაც უნივერსიტეტში სტუდენტთა მოზიდვის ამოცანას ემსახურებოდა. როცა უნივერსიტეტს არ გააჩნდა საკმარისი ინტელექტუალური რესურსები, აბიტურიენტს სხვადასხვა სპეციალობით ხიბლავდნენ. არის ზოგიერთი სპეციალობა, რისი სწავლაც არ არის სავალდებულო ბაკალავრიატში. სავსებით შესაძლებელია, სტუდენტი ამა თუ იმ სპეციალობას დაეუფლოს მაგისტრატურის დონეზე. მსგავსი შეცდომების კორექტირებას ჩვენ ახლა ვცდილობთ. ნურავინ იფიქრებს, რომ უნივერსიტეტი ვალდებულებებზე უარს იტყვის. ჩვენ სტუდენტებს ვთავაზობთ, მოხდეს გაუქმებული სპეციალობების ინტეგრირება სხვა სპეციალობებთან. ჩვენ არ უნდა მოვატყუოთ ახალგაზრდა და არ უნდა დავუტოვოთ იმის განცდა, რომ დრო დაკარგა. ჩვენ მოვიფიქრებთ ფორმას, როგორ შეიძლება გამოსწორდეს ის შეცდომა, რაშიც ყველაზე ნაკლებად სტუდენტები არიან დამნაშავენი.

**— თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ საუნივერსიტეტო რეფორმა სტუდენტზეა ორიენტირებული. საინტერესოა, თავისუფლების რა ხარისხს სთავაზობთ მათ?**

— ჩვენ გვინდა, რომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო — დაწყებული სტუდენტებთან ურთიერთობის კულტურიდან, დამთავრებული სტუდენტური ცხოვრების წახალისებით. მე მაქვს სტუდენტების მხრიდან ინიციატივებისა და იდეების შემოთავაზების დიდი მოლოდინი და სურვილი. სწორედ ეს გახდის საუნივერსიტეტო ცხოვრებას დინამიურს.

**— რამდენად სამართლიანად ჩატარდა აკადემიური საბჭოს არჩევნები უნივერსიტეტში?**

— აკადემიური საბჭოს არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით არც ერთი საჩივარი არ შემოსულა. არავის გაუპროტესტებია არჩევნების ჩატარების ხარისხი. მისი სამართლიანობა გამოვლინდა პროცესში იმ თვალსაზრისით, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებას აკადემიური საბჭოს არც ერთი წევრის მიმართ რაიმე კითხვის ნიშანი არ გასჩენია. მოხარული ვარ, რომ აკადემიური საბჭოს ასეთი შემადგენლობის პირობებში განხორციელდება საუნივერსიტეტო რეფორმა.

**— ძალიან ბევრს აინტერესებს ძველი სადისერტაციო საბჭოების ლეგიტიმურობის საკითხი. სადისერტაციო საბჭოში არიან ის ადამიანებიც, რომლებიც კონკურსის შედეგების თანახმად უნივერსიტეტის თანამშრომლებად არ განიხილებიან. ეს კითხვა აწუხებთ იმ ასპირანტებსაც, რომლებიც იანვრამდე დისერტაციის დაცვას აპირებენ...**

— დღეს მოქმედი სადისერტაციო საბჭოების მოქმედების ვადა 2006 წლის დეკემბრის ბოლოს იწურება, თუ მანამდე ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს დებულება არ მიიღეს. ამ დებულებას დაამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რის შედეგადაც წინა საბჭოს უფლებამოსილება ავტომატურად შეწყდება. ფაკულტეტების ნაწილმა უკვე წარმოადგინა სადისერტაციო საბჭოს დებულების პროექტი, რასაც აკადემიური საბჭო უახლოეს სხდომაზე განიხილავს. მისი დამტკიცების შემთხვევაში უკვე ფაკულტეტებზე შეიქმნება ახალი სადისერტაციო საბჭოები და, შესაბამისად, დაცვაც ახალი წესით განხორციელდება.

## შეკითხვა რექტორატს

საუნივერსიტეტო რეფორმა სტუდენტებში ბევრ შეკითხვას ბადებს. ახალი სასწავლო პროგრამები, საგნების არჩევის წესი, ტუტორების ინსტიტუტი, ახალი სამაგისტრო პროგრამები, ლექტორების არჩევის წესი, სტუდენტთა უფლებები — ეს ის თემებია, რაც ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტში მოსულ სტუდენტს აინტერესებს. მათ, ასევე, პერიოდულად სჭირდებათ ახალი ინფორმაცია განათლების რეფორმის ირგვლივ და მიმდინარე პროცესებზე. რექტორატის მისამართით ბევრი შეკითხვა აქვს უნივერსიტეტის თანამშრომელსაც.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი" ყველა დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას დროთა განმავლობაში შეეცდება იმ რესპონდენტების მეშვეობით, რომლის მიმართაც არის დასმული კითხვა.

### რა შეკითხვა აქვთ სტუდენტებს რექტორატის მიმართ?

**სტუდენტი: (გვარი არ დაასახელა)**

— წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება უნივერსიტეტში. გავერკვევი და მერე დავსვამ შეკითხვებს. მითხრეს, რეგისტრაცია უნდა გაიაროო და ჯერ ამით ვარ დაკავებული.

**დავით სირაძე, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:**

— უნივერსიტეტში, ძირითადად, ყურადღებას გავამახვილებდი სტიპენდიაზე. სწავლების ევროპული სტილი ძალიან მომწონს, წინ-წინ ნამდვილად მივდივართ, მაგრამ სტიპენდიებიც რომ გაზარდონ, კარგი იქნება. 17 ლარი ძალიან ცოტაა. ეს ფული რაიონიდან ჩამოსულებს ერთი კვირაც არ ჰყოფნით.

**დავით ქირათელიძე, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:**

— მაინტერესებს, რატომ შემოიღეს ახალი რეგისტრაცია. დარეგისტრირებული ვარ და ჩემი აზრით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა თავიდან რეგისტრაციის გავლა. ასევე, მაინტერესებს რატომ იწყება სწავლა ასე გვიან? თავის დროზე რატომ ვერ მოახერხეს რემონტის გაკეთება?

მე სწავლამოწყურებული ადამიანი ვარ. მერე ზაფხულის არდადეგებსაც შეგვიმოკლებენ.

**ლადო მაისურაძე, იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი:**

— თუ დაწესდება შეღავათი უგრანტოდ ჩარიცხულ ფრიადოსან სტუდენტებზე მომავალში მაინც? — ეს არის ჩემი ძირითადი შეკითხვა.

**გიორგი გაგუა, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:**

— სტუდენტებს, ზოგადად, გვაქვს ასეთი შეკითხვა: - უნივერსიტეტში როდის მოგვარდება სიტუაცია ისე, რომ ყველაფერი გარკვეული იყოს? სტუდენტებზეც გადმოდის გარკვეული ეიფორია. ჩვენ გვინდა მშვიდ გარემოში სწავლის გაგრძელება.

**ქეთევან მორგოშია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი:**

— რატომ გაუქმდა ამერიკანისტიკის სპეციალობა? თუ შეიძლება, ყურადღება მოგვაქციონ და გაგვარკვიონ. რა ხდება უნივერსიტეტში, სტუდენტებმა არ იციან. ჩემი სპეციალობა გაუქმებულია. თუ შეგიძლიათ ხმა მიაწვდინეთ ჩვენს რექტორს.

**შორენა თურქაძე, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი:**

— ყველაფერი ძველებურად ხდება თუ არა? იგივე ლექტორები გვეყოლება თუ შეგვეცვლებიან? დალაგებული არის თუ არა ყველაფერი?

ვინ გაიარა კონკურსი? — ეს არის ჩემი შეკითხვა.

**სტუდენტი: (გვარი არ დაასახელა)**

— სპეციალობები გააუქმეს. მე ვსწავლობდი საგამომცემლო საქმეს, რაც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ისწავლებოდა. რატომ არ მოგვცეს საშუალება დაგვემთავრებინა ის, რაც ავირჩიეთ? ახლა გაუგებრობაში ვარ. სწავლას სად გავაგრძელებ — არ ვიცი. ქართულ ლიტერატურას ავირჩევ და მაინც რედაქტორი — გამომცემელი გამოვალ.

# სტუდენტი ირჩევს, სტუდენტი აფასებს

## რა უნდა იცოდეს, პირველ რიგში, პირველკურსელმა

პირველი გვერდიდან

ტი არის თავისუფალი და მობილური. ამ შემთხვევაში სტუდენტის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვას, საგნისა და ლექტორის არჩევანის თავისუფლებას, ხოლო მობილურობა — განაგრძოს სწავლა იმ მიმართულებით, იმ ინსტიტუტსა და ქვეყანაში, სადაც მას სურს.

ბოლონიის პროცესის წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან ჩამოაყალიბონ სასწავლო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მობილურობას, ანუ, თუ მას სურს სწავლა განაგრძოს ევროპის რომელიმე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში, პროგრამები, რომელიც საქართველოში გაიარა, ადეკვატური უნდა იყოს ამ უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროგრამისა. შესაბამისად, ადეკვატური იქნება დიპლომი (ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის) და დასაქმების შესაძლებლობაც.

იმის გამო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წელს მთლიანად გადავიდა სწავლების ახალ სისტემაზე, სტუდენტებისთვის, და განსაკუთრებით, პირველკურსელებისთვის, ბევრი რამ აღმოჩნდა საინტერესო. მაგალითად, როგორ უნდა მოხვდეს სასურველი სპეციალობის შემსწავლელ ჯგუფში, როგორ უნდა დაგეგმოს საკუთარი განათლების მიღების პროცესი, როგორ აირჩიოს საგნები, ვის ჰკითხოს რჩევა...

მთავარი სიახლე ისაა, რომ უნივერსიტეტში შემოსული სტუდენტი, სასწავლო კურსის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, იღებს ორ სპეციალობას: ძირითადს **(major)**, რომელშიც ენიჭება აკადემიური ხარისხი და დამატებითს **(minor)**, რომლის შემთხვევაშიც ერთი-ორად იზრდება კურსდამთავრებულის შანსი შრომით ბაზარზე დამკვიდრებისათვის.

პირველი კურსის სტუდენტს სემესტრის დასაწყისშივე შეუძლია აირჩიოს თავისი ფაკულტეტის სპეციალობათა ერთი ჯგუფი, რომლის არეალშიც მოიაზრებს მომავალ ძირითად სპეციალობას *(მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამი ასეთი მიმართულებაა: 1) მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებანი; 2) საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია); 3) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებანი (გეოგრაფია, გეოლოგია)*. სტუდენტი უნდა შეეცადოს, თავიდანვე განსაზღვროს საგნების არჩევანი, რაშიც მას უნივერსიტეტში დამკვიდრებული ტუტორების (სტუდენტური პროგრამების საკონსულტაციო ჯგუფი) ინსტიტუტიც დაეხმარება.

**რა უნდა იცოდეს პირველკურსელმა იმისათვის, რომ არ დაიბნეს და თავისუფლად შეძლოს ლავირება ათას საგანსა და სპეციალობას შორის?** ამ საკითხებზე სასაუბროდ მივმართეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ **მანანა ხაჩიძეს:**

### როგორ დავაგროვოთ კრედიტი?

— რეფორმა უნივერსიტეტში შარშან დაიწყო იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე, მაგრამ სასწავლო პროგრამის ახალი სტრუქტურა უნივერსიტეტის მასშტაბით წელს ყალიბდება.

მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ის, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებული იღებს 2 სპეციალობას — ძირითადს და დამატებითს. სულ სწავლის 4 წლის განმავლობაში მან უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან შეუძლია დააგროვოს 160 — ძირითად სპეციალობაში (120 სპეციალობის + 40 საფაკულტეტო საგნების), ხოლო 60 — დამატებით სპეციალობაში (შესაძლებელია კრედიტების სხვაგვარად გადანაწილებაც). რაც შეეხება დარჩენილ 20 კრედიტს, ეს არის თავისუფალი კრედიტები, რომელსაც სტუდენტი საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილებისთვის იყენებს — ან ძირითადი სპეციალობის განმტკიცებას მოახმარს, ან დამატებით იღრმავებს ცოდნას მთლიანად საუნივერსიტეტო სპეციალობებით, ან სულაც სხვა ინსტიტუტში შესწავლილი საგნებით.

ახალი სისტემა იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ თუ სტუდენტი დაძლევს და დააგროვებს სათანადო ცოდნას 240 კრედიტის ფარგლებში, მიიღოს არა ერთი, არამედ ორი ძირითადი სპეციალობა. შევეცადოთ, ავხსნათ უფრო ნათლად: მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფიზიკასა და მათემატიკას საკმაოდ ბევრი თანაკვეთა აქვს დისციპლინებს შორის. სტუდენტს თავისუფლად შეუძლია ეს ორი მიმართულება აირჩიოს ძირითად სპეციალობად. თუმცა შეუძლია მეორე სპეციალობა საერთოდ არ აირჩიოს და მიიღოს უბრალოდ ფართო განათლება მისთვის საინტერესო საგნების შესწავლით.

### როგორ ავირჩიოთ საგანი?

პირობითად შეიძლება გამოვკვეთოთ საგნების 4 ჯგუფი:

1) საფაკულტეტო-სავალდებულო დისციპლინები, რომელსაც ერთ ფაკულტეტზე მოხვედრილი ყველა სტუდენტი ერთნაირად გაივლის;

2) საფაკულტეტო-არჩევითი დისციპლინები, რომელსაც სტუდენტი ირჩევს იმის მიხედვით, თუ რა სპეციალობის დაუფლება სურს;

3) სპეციალობის დისციპლინები;

4) სპეციალობის არჩევითი დისციპლინები;

საფაკულტეტო დისციპლინები, ძირითადი თუ არჩევითი, განკუთვნილია პირველი დონისთვის. მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძირითად საგნებად ვთავაზობთ უმაღლესი მათემატიკის საწყისებს და ინფორმატიკას. გარდა ამისა, ფაკულტეტზე არსებული 7 მიმართულება წარმოადგენს შესავალ კურსებს არჩევითობის ფორმით. სტუდენტი თავად ადგენს სამუშაო გეგმას პირველ დონეზე და ორ საფაკულტეტო საგანთან ერთად ირჩევს 3 დისციპლინას, რომელიც დაახლოებით განსაზღვრავს მომავალი ძირითადი სპეციალობის ორიენტირს. მას შეუძლია განსაზღვროს, რა სპეციალობის დაუფლება სურს, ამიტომ უნდა შეეცადოს, რომ მიახლოებული საგნები შეისწავლოს. თუ მან პირველ ეტაპზე აირჩია გეოგრაფია, ქიმია და ბიოლოგია, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მომავალი ამ სპეციალობათა შორის მოიაზრება. თუ ის შემდგომ ეტაპზე განაცხადებს, რომ ფიზიკოსობა სურს, ცხადია, შეზღუდვა არ ექნება, მაგრამ უპირატესობა მაინც მიენიჭება იმას, ვინც თავიდანვე ფიზიკასთან ახლოს მდგომი საგნები აირჩია.

მომდევნო ეტაპზე, როცა სტუდენტი ირჩევს დამატებით სპეციალობას, შესაძლოა აღმოაჩინოს, რომ არჩეული **major**-სპეციალობა აღარ აინტერესებს. მას შეუძლია გამოცვალოს მიმართულება და სხვა სპეციალობის დაუფლებას შეუდგეს, ადრე ნასწავლი საგნები კი დაიტოვოს **minor**-სპეციალობისათვის, როგორც დამატებითი საგნები. მთავარია, დროზე გაარკვიოს საკუთარი ინტერესები, რომ ბოლო კურსზე გვიანი არ იყოს.

აქვე აღვნიშნავ, რომ უნივერსიტეტში მუშავდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც სასწავლო პროცესის დახვეწას შეუწყობს ხელს. ეს იქნება სტუდენტის ტექნიკური დახმარება — მთვლელის მსგავსი პროგრამა ანუ საინფორმაციო სისტემა, რომელიც დაითვლის კრედიტების რაოდენობას და მსურველს მიაწვდის ინფორმაციას — მის მიერ ნასწავლი დისციპლინები რომელ პროგრამასთან არის უფრო ახლოს. თუ აღმოჩნდა, რომ ძირითადი სპეციალობისთვის საჭირო 160 კრედიტიდან მას 120 უკვე დაგროვებული აქვს, მაგრამ სრულყოფილად შესწავლისთვის აუცილებელი დისციპლინები არ გაუვლია, ეს პროგრამა მიანიშნებს ამის შესახებ და სტუდენტი დარჩენილ 40 კრედიტს უკვე მიზანმიმართულად გამოიყენებს.

განსაკუთრებით სასიკეთოა ის, რომ **major-minor** პროგრამით იზრდება დასაქმების შანსი. რა დასამალია და აქამდე ჩვენი პროგრამები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მე თვითონ კომპიუტერულ მეცნიერებათა წარმომადგენელი ვარ და ვიცი, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების 50%-ს ძალზე ზერელე წარმოდგენა ჰქონდა კომპიუტერზე, რადგან, უნივერსიტეტში საფუძვლიანი სწავლების ელემენტარული პირობა არ იყო. ახლა პროგრამებიც შეიცვალა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასაც ველით. პენტიუმ-1, რომლითაც დაკომპლექტებულია ჩვენი პარკის 30 პროცენტი, ევროსტანდარტებით სწავლებაზე ოცნების შანსსაც არ გვიტოვებს.



### ვინ არიან ტუტორები?

სასწავლო პროგრამის ახალ სტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ტუტორების ინსტიტუტი, ანუ სტუდენტური პროგრამების საკონსულტაციო ჯგუფი, რომელსაც დიდი როლი აკისრია სტუდენტთა სასწავლო პროგრამის სწორად წარმართვაში.

**უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და მიმართულებას ჰყავს ტუტორები, რომლებიც კონსულტაციას უწევენ სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კრედიტების დაგროვებაში.**

ტუტორების ინსტიტუტის ფუნქციების უკეთ გასაცნობად კომენტარი ვთხოვეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ტუტორების ჯგუფის წევრს **ნინო ქუფარაშვილს**:

— ახალი სასწავლო სისტემის დანერგვამ ცვლილებები გამოიწვია საგნების არჩევის თვალსაზრისით. ადრე სტუდენტი მიდიოდა ფაკულტეტზე, მას ხვდებოდა საგნების ჩამონათვალი და ირჩევდა ამ საგნებიდან მისთვის სასურველს. ახლა, ვინაიდან გამსხვილდა ფაკულტეტები, არის საერთო პროგრამა, საერთო დისციპლინები. პირველკურსელისთვის ძნელია გაარკვიოს რომელი საგანი აირჩიოს ძირითადი და დამატებითი სპეციალობის მისაღებად, სად ჩაუტარდება ლექცია არჩეულ საგანში და ა. შ.

ამიტომ გამოიყო ტუტორების ჯგუფები. მაგალითად, ჟურნალისტიკის დეპარტამენტმა გამოყო 4 პიროვნება, რომელიც კონსულტაციას უწევს თითოეულ სტუდენტს. ჩვენ მათ ვუხსნით ყველაფერს, მათ შორის, იმასაც — როგორ უნდა მოძებნონ თავისი პირადი საქმე, როგორ უნდა აარჩიონ საგნები. ვაჩვენებთ ასარჩევი საგნების ჩამონათვალს და ვადგენთ ცხრილს, რომ სტუდენტს თავისთვის მისაღებ დროს შეეძლოს ამა თუ იმ არჩეულ ლექციაზე დასწრება. საქმის გასაადვილებლად ჩვენმა დეპარტამენტმა ორი ცხრილი გააკეთა — მაგ. სამაუწყებლო ჟურნალისტიკა ჩავსვით სამშაბათსაც და ხუთშაბათსაც. თუკი სტუდენტს არჩეული აქვს ეს საგანი, აირჩევს მისთვის სასურველ დღესა და დროს.

ვეხმარებით რეგისტრაციაში. ვაჩვენებთ, როგორ ენიჭებათ ინდივიდუალური კოდი, როგორ შევიდნენ პროგრამაში, რომელიც სთავაზობს მათ საგანთა ნუსხას, საიდანაც დონეების მიხედვით ირჩევენ საგნებს.

ჩვენმა სტუდენტებმა იციან, რომ მათი არჩევანი დაფიქსირებულია პირად საქმეში და ამ საქმის ბატონ-პატრონნი თავად არიან. მასში შეტანილია ყველა მონაცემი. მაგალითად, რა საგნები შეისწავლა, რამდენი კრედიტი აქვს დაგროვებული და ა.შ.

ტუტორებმა უნდა იცოდნენ, რა ხდება სხვა ფაკულტეტებზე, რა საგნებს სთავაზობენ ასარჩევად, რომ ეს ინფორმაცია გააცნონ სტუდენტებს.

ტუტორი გაარკვევს სტუდენტს იმაშიც, თუ რას სთავაზობს უნივერსიტეტი ძირითად და დამატებით სპეციალობებში — ანუ, რომელი საგნები შეიძლება აირჩიოს მან ძირითადი სპეციალობის სრულყოფილად შესწავლისათვის და დამატებითი სპეციალობის შესაძენად, რომელია I, II და III დონის საგნები, რომ დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი შეუძლია სამივე დონეზე დააგროვოს და ა. შ.

**რაც მთავარია, ეს ხდება ისე, რომ ძირითადი და დამატებითი სპეციალობის არჩევისას არ შეიზღუდოს სტუდენტის მთავარი უფლება — თავისუფლება!**

---

## ჰუმანიტარული ფაკულტეტზე II სემესტრიდან ამოქმედდება ენების შესწავლის ცენტრი

**ნინო ჩიქოვანი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი:**

— როგორც ცნობილია, ახალი საუნივერსიტეტო პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი თავად აგებს სასწავლო პროგრამას საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამიტომ პირველკურსელი, მას შემდეგ, რაც გაივლის რეგისტრაციას სარეგისტრაციო სამსახურში, უნდა გამოცხადდეს ფაკულტეტზე, სადაც ის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა.



ტუტორების ჯგუფთან, ანუ სტუდენტური პროგრამების საკონსულტაციო ჯგუფთან მან უნდა გაიაროს კონსულტაცია ინდივიდუალური პროგრამის შედგენის მიზნით, რაც სტუდენტს გაუადვილებს ორიენტირებას ახალ გარემოში.

**ჩვენს ფაკულტეტზე შემუშავებულია ჰუმანიტარული პროცესების ერთიანი პროგრამა — სტუდენტი მიიღებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და ეს ხარისხი დაკონკრეტდება რომელიღაცა სპეციალობის ფარგლებში. ჩემი აზრით, ეს არის მთავარი სიახლე.**

სასწავლო პროცესს წარუძღვება პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, რომელიც აკადემიური კონკურსის შედეგად მოვიდა ფაკულტეტზე და უკვე მოდერნიზებული პროგრამებით იმუშავებს სტუდენტებთან.

სიახლეა ისიც, რომ გარკვეული წინსვლა გვაქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მართალია, ჯერ სასურველისაგან შორსა ვართ, მაგრამ მიმაჩნია, რომ რისი გაკეთებაც შეიძლებოდა არც ისე ხანგრძლივ დროში, ნაწილობრივ მაინც გაკეთდა.

რაც შეეხება დასაქმებაზე ორიენტირებას. აქ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. ის, რომ სტუდენტს ვთავაზობთ როგორც ძირითად, ასევე დამატებით პროგრამას, თავისთავად აძლიერებს მის კავშირს შრომით ბაზართან. გარდა ამისა, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე II სემესტრიდან ამოქმედდება ენების შესწავლის ცენტრი, რომელიც დაეხმარება სტუდენტს, გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენისა, გაიღრმავოს ცოდნა ქართულ ენაში (საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისათვის) და სხვა უცხო ენაში. ერთი სიტყვით, ყველა ენა, რომელიც სტუდენტს შეიძლება დასჭირდეს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ამ ცენტრის მეშვეობით შეისწავლება. ენის ცოდნა კი ნებისმიერი ქვეყნის შრომით ბაზართან დაახლოებას შეუწყობს ხელს.

## სტუდენტმა თავად უნდა გაარკვიოს – რომელი დონის მათემატიკა სჭირდება?

**არჩილ უგულავა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:**

— ყველა სიახლე დაკავშირებულია იმასთან, რომ სასწავლო პროცესი არის მთლიანად შეცვლილი. თუ ადრე პროფესორზე ვიყავით ორიენტირებულნი, ახლა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მკვიდრდება. ადრე რა სპეციალობასაც აირჩევდა ახალგაზრდა, იმ სპეციალობის შესწავლა გრძელდებოდა 5 წლის განმავლობაში და თანდათან ვიწროვდებოდა მისი სპეციალიზაცია სწავლისა და სამეცნიერო მუშაობის პერიოდში. ახლა ხდება არა სპეცი-

მეოთხე გვერდიდან

ალობის დავიწროება, არამედ გაფართოება. ეს გამოიწვია ევროპის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ, რომლითაც შეისწავლეს ასობით მაღალი რეიტინგის მქონე მეცნიერის ბიოგრაფია და მივიდნენ დასკვნამდე, რომ უმნიშვნელოვანეს შრომებს ქმნიან არა



ვიწრო სპეციალიზაციის, არამედ ფართო განათლების მქონე მეცნიერები.

საგნების არჩევითობა, რომელიც იქნება წარმმართველი მთელი სასწავლო პროცესისა, სტუდენტს თავიდანვე აჩვევს დამოუკიდებლობას და უყალიბებს გადაწყვეტილების მიღების უნარს, რითაც საკუთარ ცოდნასა თუ არცოდნაზე, ინტერესის დაკმაყოფილებასა და, შეიძლება ითქვას, ბედ-იღბალზეც თვითონ ხდება პასუხისმგებელი.

წელს ჩვენ მივიღეთ 545 პირველკურსელი, რომელთაც ძირითად საგნებად შევთავაზებთ უმაღლესი მათემატიკის საწყისებს და ინფორმატიკას. იმის გათვალისწინებით, რომ მათ სხვა და სხვა ფუნდამენტი აქვთ _ ზოგი მომავალ მათემატიკოსად მოიაზრებს თავს და ზოგს ეს საგანი საერთოდ არ ჩაუბარებია ეროვნულ გამოცდებზე (მაგ. გეოგრაფებს), ვთავაზობთ სხვა და სხვა დონის მათემატიკას. სტუდენტი თავის თავში გაარკვევს, რომელი დონის მათემატიკა სჭირდება. სავარაუდოდ, შეგვიძლია გამოვყოთ: 1) ყველაზე რთული მათემატიკა, რომელიც მათემატიკოსის მომავალს გულისხმობს; 2) საშუალო დონის მათემატიკა, რომლის პროგრამა შედგენილია ინფორმატიკოსის ან ფიზიკოსისათვის; 3) შედარებით მარტივი მათემატიკა — ქიმიკოსის, ბიოლოგის, გეოფიზიკოსისათვის; 4) მარტივი მათემატიკა;

მიუხედავად დაყოფისა, საგნობრივ დონეზე პროგრამა ერთი და იგივეა. ყველა სტუდენტი, ცნებების თვალსაზრისით, ერთსა და იმავე რამეს ისწავლის, განსხვავება იქნება მხოლოდ სიღმეებში (მაგ. ინტეგრალს ისწვლის ყველა, მაგრამ მისი სიღრმე ეცოდინება სხვა და სხვა დონეზე).

ამგვარი დიფერენციაცია მოხდა იმის გამო, რომ ყველას ერთნაირი სასტარტო პირობები არ აქვს და მიზნებიც განსხვავებულია. იმ პიროვნების პოტენციალი, რომელმაც აირჩია, რომ უნდა ისწავლოს უმაღლესი მათემატიკა, ფიზიკა ან ინფორმატიკა, ამ საგანში გაცილებით დიდია და თუ ჩვენ მათ მარტივ მათემატიკას შევთავაზებთ, ეს მისთვის იქნება უინტერესო და არაფრის მიმცემი. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება და პირობითი დაყოფა გავაკეთეთ. თუმცა თუ პიროვნება მიიჩნევს, რომ მართალია, მას არ ჩაუბარებია ეს საგანი მისაღებზე, მაგრამ შეუძლია დაძლიოს მათემატიკის მაღალი დონე, შეზღუდვა საგნის არჩევისას არ იქნება. რაც შეეხება ინფორმატიკას, აქ მხოლოდ ერთი დონეა.

მინდა პირველკურსელმა იცოდეს, რომ ჩვენს ფაკულტეტზე, მიუხედავად იმისა, რომ საგნების არჩევისას არ შეიზღუდება, მნიშვნელობა ენიჭება თანმიმდევრულობას და ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. აქ პროგრამები ერთმანეთზეა მიბმული და რომელიმე საგნის ან დონის ამოვარდნა გამორიცხულია. მაგალითად, ფიზიკის შესწავლის დროს თუ არ დაიწყო მექანიკის შესწავლით, არ განაგრძო ელექტროობით და ა. შ., ანუ, ამოაგდო შუაში რომელიმე დონე, ბირთვულ ფიზიკას ვერ შეისწავლის. **ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, დიახ, სტუდენტი თავისუფალია არჩევანში, მაგრამ მისი სასწავლო პროცესი დაგეგმილი უნდა იყოს ძალზე ჭკვიანურად და თანმიმდევრულად. ამაში მას ტუტორების ინსტიტუტიც უნდა დაეხმაროს.**

ძალიან კარგია, რომ სტუდენტს სწავლის ყველა ეტაპზე აქვს არჩევისა და მობილურობის შესაძლებლობა. ეს გამორიცხავს შემთხვევით მოხვედრას რომელიმე პროფესიაში, რაც პირდაპირ დამოკიდებულებაშია პროფესიონალიზმთან.

რაც შეეხება შრომით ბაზარზე ორიენტირებულ სწავლებას, ჩვენთან დიდი არჩევანია დამატებითი სპეციალობის შესაძენად, რაც თავისთავად გაზრდის კურსდამთავრებულის შანსს შრომით ბაზარზე დამკვიდრებისთვის. ცხადია, აქაც სწორი გათვლა და დაგეგმვაა მთავარი. მაგალითად, თუ სტუდენტი სწორად შეიცნობს ბაზარს და ბიოლოგიასთან ერთად ქიმიას შეისწავლის, გარდა წმინდა ბიოლოგიისა და ქიმიის სფეროსი, მისი დასაქმების შესაძლებლობა იზრდება კვების მრეწველობაშიც. ასევე კარგი ტანდემია ფიზიკა და კომპიუტერული მეცნიერებანი, რაზეც მოთხოვნილებაა კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემაში და ა. შ.

სხვათა შორის, იმის დასადასტურებლად, თუ რა მნიშვნელოვანია ძირითადი და დამატებითი სპეციალობები კარგად შერჩეული ერთობლიობა, ერთი ჩემი მეგობრის მონათხრობს გავიხსენებ — **ფიზიკოსმა სწავლების ყველა საფეხური გაიარა მხოლოდ იმისთვის, რომ სამუშაო ადგილი მოეპოვებინა... ბანკში. გაგიკვირდებათ ალბათ, სად ბანკი და სად ფიზიკაო... საქმე ისაა, რომ ფიზიკა მათემატიკურ მოდელებში გარკვეული მიახლოებების გაკეთებას გასწავლის, რაც გიადვილებს ამოცანას — დაინახო დიდ პროცესებში მარტივი ნაწილი, სწორედ ის, რომელიც შენ გჭირდება. ბანკში კი აზროვნების ამგვარი მოდელი, რასაც მხოლოდ ფიზიკა ასწავლის, აუცილებელია. გავა წლები და ანალოგიური სასწავლო პროგრამები შეიქმნება ბანკის თანამშრომლებისთვის.** უბრალოდ ამას სჭირდება დრო და... რეკლამა.

## ჩვენ გავაკეთეთ თანამედროვე სტანდარტების სასემინარო ბიბლიოთეკა

**დავით კერესელიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:**



— უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებები მეტწილად ეფუძნება იმ გამოცდილებას, რაც ჩვენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში შევიძინეთ. დღეისათვის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედებს ახალი საბაკალავრო, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამები, გაკეთდა თანამედროვე სტანდარტების სასემინარო ბიბლიოთეკა, შემოვიტანეთ სასწავლო ლიტერატურა, გავაფართოვეთ კომპიუტერული კლასი, რომელიც მთლიანად აძლევს სტუდენტს საშუალებას - ისარგებლოს ყველა იმ სერვისით, რასაც მას უნივერსიტეტი სთავაზობს. ვგულისხმობ საგნის, ლექტორის, ძირითადი თუ დამატებითი პროფესიის არჩევას.

სტუდენტმა, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე მოდის, უნდა იცოდეს, რომ ბოლონიის პროცესიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების 3 ციკლი მკაცრად არის ჩამოყალიბებული და დაკავშირებული მომავალ პროფესიასთან:

ბაკალავრი იკავებს ნებისმიერ იმ თანამდებობას, რომელსაც არ მოეთხოვება უფრო მაღალი, კერძოდ, მაგისტრის აკადემიური ხარისხი და სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება; მაგისტრს შეუძლია დაიკავოს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატისა და ნოტარიუსის თანამდებობა, ხოლო დოქტორი უფლებამოსილია განაგრძოს აკადემიური მოღვაწეობა.

სტუდენტმა, რომელიც მოხვდა ჩვენთან, უნდა იცოდეს, რომ სამართალი არის რეგულირებადი მიმართულება, სადაც ძალზე მკაცრი ჩარჩოებია განსაზღვრული.

## ბერლინის უნივერსიტეტში 10 ქართველი სტუდენტი გაივლის სამაგისტრო პროგრამას

**აკაკი ცომაია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:**



პირველკურსელმა, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე შემოვიდა, უნდა იცოდეს, რომ უნივერსიტეტში ბევრი რამ იცვლება. სასწავლო პროცესი შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან, ისე, როგორც ბოლონიის პროცესთან მიერთებული სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებშია. უნდა იცოდეს, რომ მისი სწავლისა და შემდგომი დასაქმების მიზნით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბევრი სიახლე იგეგმება.

კერძოდ, მოლაპარაკება მიმდინარეობს სხვა და სხვა წამყვან უნივერსიტეტთან, სადაც შესაძლებელია მოხდეს სტუდენტების გაცვლა. მაგალითად, **ბერლინის უნივერსიტეტთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ 10 სტუდენტი გაივლის სამაგისტრო პროგრამას.** ვფიქრობთ, სხვა უნივერსიტეტებთან ერთობლივ საბაკალავრო ხარისხზეც ვიზრუნებთ, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას, რომ კონკურენტუნარიანნი იყვნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ეს არის ჩვენი მიზანი მათი სწავლების ამ 4 წლის განმავლობაში.

**სიახლეა ის, რომ გადავედით სწავლების ახალ ფორმაზე — სტუდენტი ირჩევს ლექტორს და სტუდენტი აფასებს ლექტორს. ამ მიზნით იქმნება ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსდება ყველა პროფესორ_მასწავლებლის მონაცემი და სილაბუსები. ვმუშაობთ ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და ბიბლიოთეკის შექმნაზე. ამ ეტაპზე ლიტერატურა ძალზე მწირია, თუმცა ვცდილობთ საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას. დაგეგმილია უამრავი ახალი სახელმძღვანელოს შემოტანა, რომ სტუდენტს ლიტერატურა საძებნი აღარ ჰქონდეს.**

ჩვენს ფაკულტეტზე ახალი სპეციალობა არ გახსნილა. გვაქვს ორი მიმართულება — ეკონომიკისა და ბიზნეს-ადმინისტრატორისა. უარი ვთქვით ყველა იმ სპეციალიზაციაზე, სადაც იყო ბევრი გამოგონილი საგანი, რომელიც არცერთ საერთაშორისო სტანდარტს არ ექვემდებარებოდა. ამჯერად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ისწავლება მხოლოდ ის საგნები, რომლებიც შეესაბამება ბაკალავრის ხარისხისთვის საჭირო მოთხოვნებს.

დამატებითი საგნების არჩევის დროს, საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად ონლინე-რეჟიმიც იმუშავებს, რომ სტუდენტს გაუადვილდეს ძირითადი და დამატებითი სპეციალობის არჩევა. ჩვენ ისეთი საგნები ჩავსვით ძირითად და დამატებით ჩამონათვალში, რომ კურსდამთავრებული აუცილებლად კონკურენტუნარიანი იქნება. ის შეისწავლის დამატებით საბანკო საქმეს, ტურიზმის სფეროს, გაიღრმავებს ცოდნას მათემატიკაში, უცხო ენაში და ა. შ. ეს მისი არჩევანია და ჩვენ მხოლოდ ხელი უნდა შევუწყოთ სტუდენტის სურვილის და მისწრაფებების დაკმაყოფილებას.

## თავისუფლების სწორად გამოყენება სტუდენტის უნარზეა დამოკიდებული

**ამირან ბერძენიშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:**

— პირველკურსელი, რომელიც შემოვიდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რა მიმართულებები ფუნქციონირებს ამ ფაკულტეტზე, რომელია საფაკულტეტო საგნები, რომელი — სპეციალობისა და არჩევითი. ამ მიზნით, ჩვენ დავბეჭდეთ მცირე საცნობარო ბუკლეტები, სადაც მოცემულია ყველა აუცილებელი ინფორმაცია, რაც პირველ ეტაპზე უნდა იცოდეს პირველკურსელმა.

I სემესტრში ჩვენ საფაკულტეტო საგნებად ვთავაზობთ აკადემიურ წერას, სტატისტიკას, უცხო ენას და სოციალური მეცნიერების მეთოდოლოგიას. არჩევითი იქნება 7 მიმართულების შესავალი კურსები (პოლიტიკური მეცნიერების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებრივი გეოგრაფიის, ჟურნალისტიკის, სოციალური მუშაობის), რამელთაგან 4 სასურველი მიმართულება თავად სტუდენტმა უნდა აირჩიოს.

მართალია, ახალი სისტემა დიდ თავისუფლებას ანიჭებს სტუდენტს, მაგრამ ამ თავისუფლების სწორად გამოყენებას აქვს მნიშვნელობა. ის კარგად უნდა გაერკვეს ყველა სიახლეში, რომ არ დაიბნეს. ამისთვის გვყავს საკონსულტაციო ჯგუფი (ტუტორების ინსტიტუტი), რომელიც დახმარებას გაუწევს პირველ ეტაპზე და გვაქვს ვებგვერდიც, რომელიც განახლების შემდეგ დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს.

აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ საგნების არჩევა სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მაინც უნდა მოხდეს, რომ ჩვენ მათი არჩეული საგნებისა და ლექტორების მიხედვით დავაკომპლექტოთ ჯგუფები, წელს ეს პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს მხოლოდ იმის გამო, რომ სტუდენტების რეგისტრაცია ნელი ტემპით გრძელდება, თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ და სწავლის დაწყებიდან ერთ-ორ კვირაში დავარეგულირებთ პროცესებს.

რაც შეეხება კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმების პროგრამას, ახალი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ძირითადი და დამატებითი სპეციალობების შემოღება ამ საკითხს თავისთავად დადებითისკენ გადახრის, მაგრამ არის ერთი ფაქტორი: ამ პროგრამის ამუშავებამდე კარგად უნდა შევისწავ-



ლოთ ბაზრის მოთხოვნილება, უნდა გამოიკითხოს დამსაქმებელი, ბიზნესმენი, 3-4 წლის კურსდამთავრებულები და დამამთავრებელი კურსის სტუდენტები იმისთვის, რომ გაირკვეს — რა სურს ბაზარს, რა — ბიზნესმენს, რამდენად ადეკვატურ ცოდნას იღებს სტუდენტი და რა სჭირდება მას სათანადო კვალიფიკაციისათვის. ვფიქრობ, ამ კუთხით ძალიან კარგი ნაბიჯი იქნება გადამზადების კურსების გახსნა უნივერსიტეტში, რაზეც უკვე არის საუბარი.

## მედიცინის ფაკულტეტის ახალი სპეციალობა — ოკუპაციური თერაპია

**ალექსანდრე ცისკარიძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი სიახლეა. კლასიკურ მიმართულებებს — სამკურნალო საქმე და სტომატოლოგია, დაემატა ევროპისა და ამერიკის საუნივერსიტეტო სივრცეში კარგად აპრობირებული სპეციალობა — ოკუპაციური თერაპია.

### რა არის ოკუპაციური თერაპია?

ოკუპაციური თერაპია არის საკუთარი თავის მოვლის, შრომა/პროდუქტიული აქტივობების და თამაში/დასვენების



აქტივობების თერაპიული გამოყენება დამოუკიდებელი ფუნქციის გაძლიერების, განვითარების გაუმჯობესებისა და უნარშეზღუდულობის პრევენციისათვის.

ოკუპაციურ თერაპევტებს აქვთ ფართო განათლება, რომელიც მათ აძლევს საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, იმუშაონ ადამიანებთან და ადამიანთა ჯგუფებთან, რომელთაც აქვთ ორგანიზმის სტრუქტურული ან ფუნქციური დაზიანება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და აწყდებიან ბარიერებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ოკუპაციური თერაპევტი მუშაობს სხვა და სხვა სამიზნე ჯგუფებთან (მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებთან, სკოლებთან, ბაღებთან, ყველა სამთავრობო ან არასამთავრობო დაწესებულებასთან), რომ მოაგვაროს უნარშეზღუდულთა ნებისმიერი პრობლემა, დაწყებული გზებითა და ტრანსპორტით, დამთავრებული სათანადო ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შექმნით, რაც ასეთ ადამიანებს გაუადვილებს გარემოსთან შეგუების პროცესსა და ელემენტარული ცხოვრებისეული აქტივობების განხორციელებას.

საქართველოში ეს პრობლემა მეტად აქტუალურია. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც იყენებენ ინვალიდის ეტლს, შეზღუდულები არიან, რადგან დამოუკიდებელი გადაადგილებისათვის შესაბამისი გარემო არ არსებობს.

### სად შეიძლება დასჭირდეთ ოკუპაციური თერაპევტი?

ოკუპაციური თერაპევტები მუშაობენ ყველა ასაკობრივ ჯგუფებთან, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური სფეროების ფართო საზღვრებში, მათ შორის უნარშეზღუდულ ადამიანებთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან და სხვა მარგინალურ ჯგუფებთან. მათი სამუშაო ადგილი შეიძლება იყოს: **ჰოსპიტალი; კლინიკა; სარეაბილიტაციო ცენტრები; პალიატიური ზრუნვის განყოფილებები; ბინაზე მოვლის პროგრამები; სპეციალური სკოლები; ინდუსტრიული და კერძო საწარმოები; ჯანმრთელობის ცენტრები; მერია და ადმინისტრაციული ორგანოები; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; კვლევები და აკადემიური საქმიანობა;**

ოკუპაციური თერაპია განვითარებადი პროფესიაა. მაგალითად გერმანიაში 31000 ამ სპეციალობის ადამიანია დასაქმებული, ინგლისში — 25000. ეს ნათელი სურათია იმისა, თუ რა ფართო ასპარეზი ექმნებათ შრომით ბაზარზე ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებს.

საქართველოში უკვე არსებობს ჯანმრთელობის დამხმარე სპეციალობის სკოლა, რომელშიც ჯერჯერობით მხოლოდ ოკუპაციური თერაპია ისწავლება. როგორც ამ სკოლის დირექტორმა ჰანეკე ვან ბრუგენმა განაცხადა, სასწავლო პროგრამა, რომელიც შეთავაზებული იქნება შესაბამისი სპეციალობის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, მთლიანად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. მისი კურსდამთავრებულები თავიდანვე გახდებიან ოკუპაციური თერაპიის საერთაშორისო საზოგადოების წევრები, რაც ნებისმიერ ქვეყანაში პროფესიით დასაქმების გარანტიას იძლევა.

# ჩვენ მისჯილი გვაქვს გმირობა?!

## ინტერვიუ თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორთან გია მურღულიასთან

პირველი გვერდიდან

არება ბევრს არ სურს. პედაგოგებისთვის, ზოგადად, შეურაცხმყოფელია მატერიალურ პრობლემებზე გამუდმებულად საუბარი. მათთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი ბავშვებთან ურთიერთობაა. მაგრამ განათლების ახალ სისტემაზე გადასვლამ დაკვეთა შეცვალა. დღეს ღირებულია ის პედაგოგი, რომელიც არა მხოლოდ უმაღლესი განათლებისთვის, არამედ საკმაოდ მკაცრ, კონკურენტუნარიან გარემოში დასაქმებისთვის საჭირო ცოდნას აძლევს ბავშვს.

გადამზადებულ ახალგაზრდა პედაგოგთა უმეტესობა კერძო სკოლებში მიდის. სახელმწიფო სკოლებში კი რჩებიან უფრო ხანდაზმული მასწავლებლები, რომლებსაც სხვაგან წასასვლელი არ აქვთ. რა პრობლემებს აწყდებიან სკოლის დირექტორები? როგორ ესახებათ მათ ქართული თანამედროვე სკოლების შექმნა? — ამ თემებზე სასაუბროდ თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორს **გია მურღულიას** მივმართეთ.

**— 5 ოქტომბერი მსოფლიო მასწავლებელთა დღეა. ბევრი მშობლის წუხილი უკავშირდება იმ პრობლემას, რომ დღეს კარგი მასწავლებელი, ასე ვთქვათ, ძნელად მოსაძებნია. რას მივაწეროთ მათი ასეთი პესიმიზმი?**

— მე ვთვლი, რომ მასწავლებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიაა. მიმაჩნია, რომ არც ერთ პოლიტიკოსს არ შეუძლია ისეთი ზეგავლენა ადამიანის სულზე, როგორც მასწავლებელს. მასწავლებელი არის ხიდი თაობებს შორის, ცოდნისა და ზნეობის შემნახველი და გადამცემიც, ამავე დროს, რომლის გარეშეც ყოველი ახალი თაობა თავიდან დაიწყებდა რაღაცის ძიებას. ამ თვალსაზრისით, მასწავლებელი ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა გახლავთ ნებისმიერი საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამ შეფასების ფონზე ცოტა უცნაურია იმ დასკვნის გაკეთება, რომ არც ერთ ეპოქაში და არც ერთ ქვეყანაში მასწავლებელი ისე არ ფასდებოდა, როგორც მას ეგების.

მიუხედავად ძალიან სერიოზული ტენდენციებისა, რაც დაიწყო განათლების რეფორმით, ჯერ-ჯერობით მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი საზოგადოება საჭიროებისამებრ აფასებს პედაგოგის შრომას. დღეს წამყვანი მასწავლებლის ხელფასი დაახლოებით 200 ლარია. ცხადია, ეს ვერ გამოხატავს ჩვენი საზოგადოების ჭეშმარიტ დამოკიდებულებას მასწავლებლის შრომის მიმართ. მინდა გითხრათ, რომ განათლების მიღება არ არის იაფი სიამოვნება.

**— როდესაც მასწავლებლები ღიად აპროტესტებენ ხოლმე ხელფასების დაგვიანებას და აქციებს აწყობენ, საზოგადოების ნაწილს არ მოსწონს მათი გაფიცვა, რადგან თვლის, რომ მასწავლებელმა ასეთი მაგალითი ბავშვს არ უნდა მისცეს. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— მე მგონია, ფული და ზნეობა ერთმანეთს არ უპირისპირდება. ერთი მეორის გარეშე შეიძლება მთლად კარგი არც იყოს. ასეთი გამონათქვამი არსებობს: — უფულო კაცი სჯობს უკაცო ფულსო. ერთი რამ ცხადია, მასწავლებელი რისთვისაც არის მოწოდებული და რაც მას ღმერთმა დაავალა — უყვარდეს მოსწავლე და მის აღზრდა-განვითარებას შეალიოს მთელი ენერგია, ეს მართლაც მნიშვნელოვანია და ამისგან გათავისუფლება ტრაგედია იქნებოდა ჩვენი მასწავლებლებისთვის. მაგრამ ეს ერთი მხარეა. არ შეიძლება მავანს მოსთხოვო პერმანენტული გმირობა! არ შეიძლება გმირობა იყოს პროფესია საქართველოში. მე ძალიან ხშირად მესმის, რომ ჩვენი მასწავლებლები არიან გმირები, რომლებმაც ძნელბედობის დროს შეგვინარჩუნეს სკოლა! ყველაფერი მესმის, მაგრამ ხანდახან მიჩნდება სურვილი ამის თქმისა: ცოტახანი თქვენ იყავით გმირები და ჩვენ ამ გმირობისაგან დავისვენებთ. ჩვენ მისჯილი გვაქვს გმირობა?!

საზოგადოება ამაზე უნდა დაფიქრდეს. თუკი ჩვენ ვაცხადებთ, რომ განათლება არის სერიოზული პრიორიტეტი, მაშინ მიდგომაც უნდა შევცვალოთ. ხანდახან მეუფლება ისეთი განცდა, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება გადავიდა საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე მასწავლებლების გარდა. მე, როგორც მასწავლებელმა, რა შემიძლია გამოვიტანო ბაზარზე — ჩემი ცოდნა, რომელსაც ფასი აქვს. თანაც, ეს ცოდნა უნდა იყოს მუდმივად განახლებადი.

**— თუ არსებობს სტატისტიკა — მასწავლებელთა რამდენი პროცენტი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს?**

— ასეთი კვლევები ნაკლებად ჩატარებულა, თუმცა შედეგების მიხედვით შეიძლება სურათის დახატვა. აქცენტი გასაკეთებელია ორი მიმართულებით: რა მოეთხოვება დღეს მასწავლებელს და როგორ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას ჩვენი პედაგოგთა კორპუსი?

მე ჩამოვწერე თბილისის 24-ე საჯარო სკოლის 2007 წლის ამოცანები და ყოვლად რეალური მიზნები. მათი განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მასწავლებლების კომპეტენციას, მათ აქტიურობას, მოტივაციას. ყველაფერი იწყება მოტივაციით. რაც არ გინდა, იმას კარგად ვერ გააკეთებ. ამიტომ, ჩვენი პირველი ამოცანაა მოტივაციის შექმნა.

### ჩვენ ჩამოვაყალიბეთ პარტნიორი სკოლების კავშირი

— უნდა გითხრათ, რომ სარეფორმო დოკუმენტაცია საკმაოდ კარგად არის გააზრებული. განათლების სამინისტრომ, აქედან გამომდინარე სახელმწიფომ, საკმაოდ კარგად ჩამოაყალიბა თეორიული ბაზა სასკოლო რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით. მაგალითად, ორი ფუნდამენტური მნიშვნელობის დოკუმენტი — ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმა — ორივე, მართლაც კომპეტენტური ხალხის შექმნილია. მაგრამ თეორიული ბაზის შექმნა აბსოლუტურად არ არის საკმარისი, რომ რეფორმის წარმატებულად განხორციელება ვივარაუდოთ. ამჟამად რეფორმის მეორე ფაზის დრო დადგა, როცა ყველა სკოლამ კარგად უნდა გაიაზროს — რა ამოცანების წინაშე დგას.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ პარტნიორი სკოლების კავშირი, რომელშიც შედის თბილისის 30-მდე სკოლა. რეგიონებიდანაც ძალიან ბევრია ჩვენს კავშირში გაწევრიანების მსურველი, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ვჩქარობთ გაფართოებას, რადგან ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლობები გვაქვს აღებული. ჩვენ ვართ განათლების ხარისხზე ორიენტირებული სკოლები. განათლების ხარისხი — ეს არის განათლების ღმერთი მთელ მსოფლიოში. ამის გარშემო უნდა აიგოს მთელი სისტემა. როგორი უნდა იყოს ამ ხარისხის მონიტორინგი სასწავლო პროცესის განმავლობაში? ჩვენ გვინდა, ერთმანეთს დავეხმაროთ რეფორმის გააზრებასა და მის განხორციელებაში.

მე მეცინება, როცა ჩვენი მასმედია პოლიტიკური თემების გარდა ვერაფერს პოულობს. ჩვენი პრესა გაჯერებულია პოლიტიკური თემატიკით, რაც უკვე მოსაბეზრებელია. ჩვენი საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს საინტერესო — ვის ვზრდით ჩვენ? როგორ ქვეყანას ვაშენებთ? რა ღირებულებები უნდა შევუნარჩუნოთ ჩვენს ბავშვებს ისე, რომ ამავე დროს ვიყოთ კაცობრიული ოჯახის ღირსეული წევრებიც? ამაზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ საბავშვო ბაღიდან და შემდეგ — სასკოლო გარემოში. მე არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი საზოგადოება ადეკვატურად აღიქვამს ამ საკითხების მნიშვნელობას და ფიქრობს ამაზე, რომ ჩვენი შვილების გარდა ჩვენ ვიცლით ყველაფრისთვის და ყველასთვის. პირველ რიგში ჩემი თავი მყავს მხედველობაში. ჩემი 22 წლის გოგონა მომიჯდება ხოლმე გვერდით მისთვის საინტერესო თემებზე სასაუბროდ, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება როგორია, იცით? - მე მთელი დღე გარეთ ვარ გასული, დავიღალე, სახლში მოვედი, ცოტა სიმშვიდე მჭირდება — ეს არის ხშირად ჩვენი პასუხი, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. მე ვაღიარებ, რომ დაახლოებით ასეთი მამა ვარ, თუმცა ვცდილობ, გამოვსწორდე. ბაბუა უკეთესი ვარ და ამას იმით ვხვდები, რომ ჩემი შვილიშვილები, როცა სახლში ჩემთან მოდიან, ან მე მივდივარ მათთან, ჩემს გარდა სხვასთან კონტაქტი აღარ სურთ ხოლმე. ეს არის ჩემი სიამაყის ერთ-ერთი სერიოზული საფუძველი.

### ვის ვზრდით ჩვენ?

— რეფორმა ზოგჯერ გაიგივებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებთან. გამოცდა აფასებს იმას, რაც ბავშვმა სკოლაში ისწავლა. მთავარი არის — რას სწავლობს ბავშვი სკოლაში და როგორი ადამიანი იზრდება? მე ბევრი მიფიქრია ამ თემაზე.

ჩემს თავს ვეკითხები — სკოლაში აღზრდის როგორი სისტემა უნდა იყოს?

ვინ გვინდა, რომ გავზარდოთ? ეს დოკუმენტში არის დაფიქსირებული?

პირველ რიგში ჩვენ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, რომ დადგა 21-ე საუკუნე. ესეც ჯერ კარგად არ გვაქვს გააზრებული. ქართველები, სანამ მთელი მონღოლეთი არ შემოიჭრა საქართველოში, მანამდე ერთმანეთს ეკითხებოდნენ — ეს ვინ და რა ხალხიაო? ეს ქართული უდარდელობის გამომხატველი კითხვაა.

21-ე საუკუნე მოვიდა! ეს არის ორი ნიშნით გამორჩეული საუკუნე. დღემდე არნახული შესაძლებლობების საუკუნე. ეს საუკუნე პირდაპირ კავშირშია ბაბილონის გოდოლის აშენების ბიბლიურ მცდელობასთან, რაც ჯერ არ დამთავრებულა. ის გოდოლი, რაც ადვილად დაინგრა, აგურით და კირით შენდებოდა. თანამედროვე გოდოლი უფრო მაგარია. ეს არის ტრანსნაციონალური კორპორაციები, ინგლისური ენა და ინტერნეტი. ბაბილონის გოდოლი უკვე არა მატერიალურად, არამედ ცნობიერებაში იგება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ის, რასაც ჩვენ, მოკლედ, გლობალიზაციას ვუწოდებთ, რომლისგან თავდაცვაც არ არსებობს და არც არის საჭირო. გლობალიზაციას კი არ უნდა ებრძოლო — როგორც ამას მთელ მსოფლიოში ანტიგლობალისტები აკეთებენ, არამედ გლობალიზაციასთან ადაპტაციაა საჭირო, ოღონდ ისე, რომ შენი ეროვნული ღირებულებები შეინარჩუნო და, იმავდროულად, ერთიანი კაცობრიული ოჯახის წევრად იქცე. მეორე მხრივ, ეს არის უსასტიკესი კონკურენციის საუკუნე. ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი განწირულია, თუკი ის არ აღმოჩნდა კონკურენტუნარიანი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ — როგორ უნდა გავზარდოთ ჩვენი შვილები ისე, რომ ისინი კონკურენტუნარიანები იყვნენ? უნდა გადავაფასოთ: -

რა ბუნების ხალხი ვართ? რა ღირსება და ნაკლი გვაქვს? ქართულმა სკოლამ უნდა იფიქროს იმაზე, როგორ განავითაროს ის ღირსებები, რაც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოგვიყალიბდა და რაც, ასე ვთქვათ, ჩვენი კოზირია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ ვარეგულიროთ ჩვენში ნაკლოვანებები ისე, რომ მათ საფრთხე არ შეგვიქმნან.

პატარა ლუარსაბ თათქარიძე ყველა ჩვენთაგანშია, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ის ჩვენში ძალიან გაიზარდოს.

ქართულ სკოლაში ჩვენ გვასწავლიდნენ ლიტერატურას, ისტორიას, ფიზიკას, ქიმიას და ა.შ. მაგრამ ნაკლებად გვასწავლიდნენ ან საერთოდ არ გვასწავლიდნენ შემდეგს: როგორ ჩამოვაყალიბოთ ნებისყოფა. მე მაქვს ასეთი რიტორიკული კითხვა: - ნებისყოფის გარეშე შეიძლება პიროვნება არსებობდეს? ჩვენი სკოლები ნებისყოფის ჩამოყალიბებისთვის არაფერს აკეთებდნენ.

ადრე, საბჭოთა სისტემის დროს, ხშირად გაიგონებდით ფრაზას — ჩვენ უნდა აღვზარდოთ ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება! ჩემი აზრით, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება არის არანაირად განვითარებული პიროვნება. ამოცანა უნდა იყოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა. ვგულისხმობ ნებისყოფას, ყურადღების კონცენტრაციას, დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს შეზღუდულ დროსა და გარემოში. ჩვენი სკოლა ვერ ზრდიდა ადამიანს, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებდა გადაწყვეტილებას. მე გლობალურად არ მინდა ძველი სკოლის კრიტიკა, რადგან მას ნაკლთან ერთად ბევრი ღირსება ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ამოცანებს სკოლა არ სწყვეტდა.

პარტნიორი სკოლების კავშირი იმ მიზნით შევქმენით, რომ აქცენტები ამგვარად დავსვათ — ეს არის რეფორმის გულის გული. შევქმენით მასალების მთელი პაკეტი, რასაც დავარქვით სკოლის ადმინისტრაციის სამაგიდო წიგნი და სამინისტროს დაინტერესების შემთხვევაში ჩვენს კონცეფციას კოლეგებს უფრო მასშტაბურად გავუზიარებთ.

**— რატომ არის დღეს მშობლების გამუდმებული თავსატეხი — სად შევიყვანო, რომელ სკოლას მივაბარო ჩემი შვილი? მაზე პასუხის გაცემა, ზოგჯერ, განათლების სფეროში დასაქმებულ თანამდებობის პირებსაც კი უჭირთ. როგორ ფიქრობთ, როდის დასრულდება მკითხაობა ამ თემაზე?**

— ყალიბდება მასწავლებლების მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა. ეს არის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ შემოგვთავაზებს განათლების რეფორმა. აქამდე როგორ ამზადებდნენ მასწავლებლებს? 98 % იყო თეორია. 2% — პრაქტიკა. დასავლური გამოცდილება ადასტურებს, რომ ჯარისკაცი ყალიბდება ბრძოლაში. იქ 1/3 თეორიაა და 2/3 — პრაქტიკა.

ახალი სისტემის ფარგლებში პირველად ხდება მასწავლებლის პროფესიის კარიერასთან დაკავშირება და ამის გააზრება. 4-წლიანი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ბაკალავრი მასწავლებლის სტატუსს პირდაპირ ვერ მიიღებს. მას სკოლაში ერთწლიანი გამოსაცდელი ვადა აქვს და თუ ეს საფეხური დაძლია, მაშინ მიენიჭება მასწავლებლის სტატუსი. როცა სკოლაში მივედი, დიპლომში მეწერა — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ახლაც იგივე ვარ, მაგრამ როგორი მასწავლებელი ვარ — კარგი, ცუდი, წარმატებული, აზრიანი, უაზრო — არაფერია ცნობილი. ამიტომ სხვადასხვა სტანდარტების შემოღებით ამ პროფესიის საფეხურეობრივი გააზრება, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. პროფესიას, რომელსაც კარიერული ზრდის შესაძლებლობა არ აქვს, თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მკვდარი პროფესია.

მე გეტყვით ჩემს გასაჭირს. ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული პრობლემები, თუნდაც ასაკობრივი ხასიათის. სკოლაში უნდა იყვნენ ახალგაზრდა და საშუალო თაობის მასწავლებლები და ასევე — ხანდაზმულნიც. ყველას თავისი პედაგოგიური შარმი აქვს, მაგრამ ჩვენთან დამაფიქრებელი სურათია. მე მყავს 100-მდე მასწავლებელი, აქედან 30 წლამდე ასაკის მხოლოდ 5—ია. ამ 5-დან 4 ფიზკულტურის მასწავლებელია.



## გია მურღულია

**52 წლის.**
**მუშაობდა მეტეხის ახალგაზრდულ თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ.**
**1981 წლიდან დღემდე არის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.**
**1990-2000 წლებში იყო პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის რექტორი.**
**2002 წლიდან არის თბილისის საკრებულოს წევრი.**
**დღეს გახლავთ 24-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.**
**კრედო: ,,ბავშვთან შეიძლება იყო ძალიან ახლოს, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადააბიჯო. მე ვარ მომხრე იმ პედაგოგიური კონცეფციისა, რომელიც ბავშვსა და მასწავლებელს შორის ფამილარულ დამოკიდებულებას — ათქვეფას არ უშვებს.''**

მე-7 გვერდზე

მეექვსე გვერდიდან

სკოლას თავისი პედაგოგიური ესთეტიკაც აქვს. მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ, რომ დაწყებით კლასებში მეტისმეტად ხნიერი მასწავლებლები შედიოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას მე-10 კლასელებთანაც. ისინი მენტალობით განსხვავებული თაობები არიან. მოვლენებს სხვადასხვაგვარად აფასებენ და ასაკის გამო შეიძლება სასტიკადაც მოექცნენ მასწავლებელს. ბავშვები, ზოგჯერ, ადმინისტრაციაზე და დირექტორზე მკაცრები არიან. **„დაჩაგრული" ადამიანი კი წესიერ კაცს ვერ გაზრდის. საწყალი ადამიანი ვერ გაზრდის სრულფასოვან პიროვნებას — ეს არის აქსიომა. მეორე დიდი პრობლემა — ეს არის „უკაცობა" სკოლაში. არ შეიძლება, მასწავლებლები იყვნენ მხოლოდ ქალები. ეს როგორი დანაშაულია, იცით? დაბალი ანაზღაურების გამო, ოჯახის მარჩენალ კაცს გული სკოლისკენ არ მოუწევს. არადა, ბიჭი კაცმა უნდა გაზარდოს.** არის პრობლემა დისციპლინის მხრივ. ზოგიერთი პედაგოგი ამას ვერ უზრუნველყოფს. თუ საინტერესო გაკვეთილი არ გაქვს, დისციპლინაზე არც უნდა იოცნებო. თავისუფალი თაობა მოდის — ეს ძალიან კარგია. თუ შენ არ შეგიძლია მუდმივად საინტერესო იყო, დამთავრებულია შენი კარიერა.

კარგი მასწავლებლისთვის ყველაფერს მნიშვნელობა აქვს — როგორ გამოიყურები, როგორ მეტყველებ, ვის მიმართავ ამა თუ იმ სიტუაციაში? როგორ იყენებ ან არ იყენებ კლასის განწყობას? რა თემაზე ლაპარაკობ? როგორი ამინდია გარეთ? როგორი განწყობით შემოვიდა კლასი კონკრეტულ სიტუაციაში და ა.შ.

შენ უნდა იყო მეთოდისტიც, ფსიქოლოგიც და მსახიობიც, თუ გინდა იყო წარმატებული პედაგოგი. ყველა დიმიტრი გელოვანი ვერ იქნება.

**რას ნიშნავს ,,უსაფრთხო სკოლა''?**

**— თქვენ მოხვედით ამ სკოლაში. ბევრი იმედით შემოგყურებდათ. თუ შეცვალეთ იმდენი რამ, რომ თქვენი მოსვლა ამ სკოლას დატყობოდა?**

— ეს ძნელი კითხვაა. მინდა გულწრფელად გიპასუხოთ. მე მინდა მჯეროდეს, რომ ვიცი, თუ რა უნდა შევცვალო, რა უნდა გავაკეთო ჩემს სკოლაში. აქ არიან ძალიან საინტერესო ადამიანები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება ბევრი კარგი იდეის განხორციელება, თუმცა მათი რიცხვი არასაკმარისია.

ჩვენ შევიმუშავეთ მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, რომელიც გავაცანით ჩვენი სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებს. მათთვის ეს კოდექსი მისაღები გახდა, თუმცა არც თუ იშვიათად ირღვეოდა ის ძირითადი პრინციპები, რისი სამართლიანობაც ყველამ ერთად ვაღიარეთ.

მე მქონდა საუბარი ქალაქის მერთან გიგი უგულავასთან, რომელსაც ძალიან სერიოზული მოსაზრებები აქვს ე.წ. ,,უსაფრთხო სკოლის" ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რაც დედაქალაქის პროგრამაშიც არის ასახული და რომელიც ახალი წლიდან დაფინანსდება.

ჩემთან სხვადასხვა ჩივილით მოდიან ჩვენი სკოლის მოსწავლეები, რომელთაც დედ-მამის გამოტანებულ ფულს ართმევენ. არის ცემის ფაქტებიც, არის ძალადობაც, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური. ჩვენ სკოლაში დავაყენეთ დაცვა, ამდენად, უკვე გარეთ გადაინაცვლა ამ ამბებმა. **ძალიან სერიოზული პრობლემა არის ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის პრობლემა. 14-15 წლის გოგონები და ბიჭები არაყს დიდი წარმატებით სვამენ. „უსაფრთხო სკოლა" იმას ნიშნავს, რომ იგი ძალადობისგან უსაფრთხო გახდეს. პიარი უხდება გაკეთებულ საქმეს. პიარით დამარცხებული ნარკომანია არავის უნახავს, თუმცა ესეც მნიშვნელოვანია. ,,უსაფრთო სკოლა" ამ უარყოფითი მოვლენებისგან თავდაცვის მექანიზმების შექმნასა და ამოქმედებას გულისხმობს.** რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მზადდება საკანონმდებლო ინიციატივა და ეს გიგი უგულავამაც აღნიშნა, რომ უნდა აიკრძალოს ცივი იარაღის ტარება. ჯიბეში დანა 10-დან 4-ს უდევს. ჩხრეკა აკრძალულია და რენდგენის თვალები კი არავის აქვს, რომ დასაბუთებული ეჭვი ჰქონდეს ვინმეს მიმართ. ამავე დროს, რაღაცის აკრძალვა არასდროს არ არის წარმატების საფუძველი. რა არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან? ჩვენ ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს სკოლაში ჩამოგვეყალიბებინა რამდენიმე წრე, სადაც ბავშვები შეისწავლიან სიმღერას, ცეკვას და ა.შ. სკოლაში, სადაც გოგი დოლიძე და პაატა ბურჭულაძე სწავლობდნენ, სირცხვილიც კია, მოსწავლეები ქართული სიმღერის ეშხით არ იზრდებოდნენ. ქართული სიმღერის მადლი ყველას უნდა ,,წაეცხოს". ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ქორეოგრაფიული სტუდია. საკუთარი სხეულის ფლობის კულტურა ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს. პირველ კლასში დავამკვიდრეთ ჭადრაკის სწავლა. ჭადრაკის თამაში ბავშვში ბუნებრივად აყალიბებს პიროვნებისთვის ყველა ფუნდამენტურ თვისებას. აუცილებელია სამხატვრო სტუდიის, სპორტული წრეების ჩამოყალიბება. გადაწყვეტილება გვაქვს მიღებული, რომ ჩვენი სკოლა მთელი დღის განმავლობაში იყოს სიცოცხლისუნარიანი. უნარების სწავლა პირველი კლასიდანვე, პირველი გაკვეთილიდანვე უნდა დავიწყოთ, რათა უნარებში მისაღები გამოცდისთვის აბსოლუტურად მომზადებული იყოს ჩვენი მოსწავლე. დღეს ოპერტიული ჩარევა გვჭირდება ამ ამოცანის დასაძლევად.

**— კერძო სკოლების არსებობა რამდენად გიშლით ხელს — იყოთ კონკურენტუნარიანი?**

— მთელ მსოფლიოში კერძო სკოლები სახელმწიფო სკოლებს ჯობია. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა გაცილებით მცირეა, რაც სწავლების ხარისხს უკეთესს ხდის. კერძო სკოლებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ - მიიწვიონ ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები მაღალი ანაზღაურების პირობით.

ჩემს სკოლაში, მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ, ისტორიის მასწავლებელმა, რომელსაც არასდროს შეველეოდი, დამიწერა განცხადება წასვლაზე, რადგან სხვაგან შესთავაზეს მეტი ანაზღაურება. ამის მეშინია, რომ სახელმწიფო სკოლებში მასწავლებლის ხელფასი არ იქცეს ჩვენთვის პრობლემად.

**— მშობლები ხშირად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კონტინგენტს. ქართველებისთვის დამახასიათებელია, რომ სადაც ელიტარული საზოგადოების შვილები სწავლობენ, მათი ბავშვიც იქ მიიყვანონ სასწავლებლად. ზოგი ვალსაც იღებს ამისთვის, ოღონდ კი ელიტარულ სკოლაში ასწავლოს შვილს. სახელმწიფო სკოლები ამით ზარალდებიან თუ არა?**

— ეს ტრადიციული ამპარტავნობა და მატრაკვეცობა განსაკუთრებით არ მომწონს ქართველებში. ჩვენ ობიექტურნი უნდა ვიყოთ. ყველაზე მაღალი ღირებულება - ეს არის ადამიანი. ღმერთს არ გამოურჩევია — რომ იმის




სული 2 კილოგრამს იწონის და ამის სული 1 კილოგრამს. ადამიანებს სურთ — გარემო შეუქმნან თავიანთ შვილებს, მაგრამ რას ნიშნავს ამ გარემოს შექმნის მცდელობა? ცხოვრებაში ვერ მოახერხებ, რომ მუდმივად ურთიერთობა გქონდეს ე.წ ელიტასთან. შენ ურთიერთობა გექნება ყველასთან. პრეზიდენტის შვილიდან დაწყებული, მეეზოვის შვილით დამთავრებული — ყველას მიმართ მიდგომა ერთნაირი უნდა იყოს. ჩვენი კანონი, რომელიც საკმაოდ ნორმალურია, ამტკიცებს, რომ ჩვენ გვაქვს ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე.

**რეფორმაში მონაწილეობის განცდა რაც შეიძლება მეტს უნდა შევუქმნათ!**

**— თქვენი აზრით, რამდენად აუცილებელი იყო საუნივერსიტეტო რეფორმა, რომელიც ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს? თქვენ, როგორც სკოლის დირექტორს, ალბათ, გაინტერესებთ, რა გარემოში გააგრძელებს სწავლას თქვენი სკოლის აბიტურიენტი.**

— ის, რომ საუნივერსიტეტო რეფორმა გასატარებელი იყო, ამაზე არავინ დაობს. ჩემი აზრით, რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ ამ რეფორმის მონაწილეა. ადამიანები ყოველთვის მტრულად უყურებენ იმგვარ მოქმედებას, რაშიც ვერ ხედავენ საკუთარ თავს.

მე ვიცი, რომ დასავლეთის უნივერსიტეტებში პროფესურის საშუალო ასაკია 45-დან 50 წლამდე. ჩვენს უნივერსიტეტებში ეს საშუალო ასაკი გადაცილებული იყო 65 წელს. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე სავსებით მართებულად მიმაჩნია, რომ იყოს გარკვეული შეზღუდვები, რადგან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობა ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს.

მე არ ვარ ექსპერტი ამ საკითხებში და ნამდვილად არ ვიცი, სადამდე უნდა შეკვეცილიყო ფაკულტეტების რიცხვი. მაგრამ ის, რომ არ უნდა ყოფილიყო 30 და 35 — სავსებით ნათელია. ფაკულტეტებზე ყოვლად გაუმართლებელი სპეციალობები არსებობდა. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ კათედრებს ზოგჯერ პერსონებისთვის ქმნიდნენ. ეს არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება.

გარდა ამისა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია უმაღლეს სასწავლებლებში კიდევ უფრო მეტად არის საჭირო, ვიდრე, თუნდაც სკოლაში. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ უმაღლესი განათლების ხარისხი პირდაპირ პროპორციულია ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ მობილიზებული ჰყავდეს საუკეთესო ძალები თავის უმაღლეს სასწავლებლებში.

**— თქვენი აზრით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, რა პროფესიისაკენ სწრაფვა გამოიკვეთა? რომელი სპეციალობა გახდა დღეს პოპულარული?**

— აბიტურიენტის განწყობა შეიცვალა არჩეული სპეციალობების მიმართ. თუ ადრე ჰუმანიტარულ სპეციალობებს უფრო მეტად ირჩევდნენ, ახლა გამოიკვეთა ეკონომიკური სპეციალობებისაკენ ლტოლვა.

**— ვინ იყო თქვენი მასწავლებელი, რომელმაც არა მარტო საგანი, არამედ ცხოვრებაც გასწავლათ?**

— მყავდა რამდენიმე კარგი პედაგოგი. მაგალითად, მყავდა ქართულის მასწავლებელი მამუკა ოჩიგავა, რომლის გაკვეთილების მოსმენის შემდეგაც, განსაკუთრებით ბოლო კლასებში, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ფილოლოგი გავმხდარიყავი. ჩემი არჩევანი, პრაქტიკულად, ამ კაცმა განაპირობა.

# დიდი ადამიანების დიდი მასწავლებლები

**გვესაუბრა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი**

რისმაგ გორდეზიანი

ანტიკურ სამყაროში მასწავლებლის ორი კატეგორია არსებობდა. მასწავლებლები, რომლებიც ანტიკურ სასწავლებლებსა თუ სკოლებში მაღალი აზროვნების საზოგადოების წარმომადგენლებს ზრდიდნენ და ამით საკმაოდ კარგად ასრულებდნენ თავიანთ მისიას. და იყო მეორე კატეგორია მასწავლებლებისა, რომლებიც დიდი ადამიანების დიდი მასწავლებლები იყვნენ. ზოგადად კი, სწორედ მაღალი აზროვნების დონის შედეგი იყო ის, რომ ამ საზოგადოებას ჰყავდა ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, სენეკა და მრავალი სხვა.

თუკი ჩვენ მოვინდომებთ მსოფლიო კაცობრიობის ცივილიზაციის განხილვას იმ თვალსაზრისით, თუ რომელ ეპოქას მიეკუთვნებიან ყველაზე უფრო ცნობილი ადამიანების ყველაზე უფრო ცნობილი მასწავლებლები, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ მხრივ, ანტიკური სამყარო ყველასგან გამოირჩევა. ამ სამყაროში ძალიან ბევრი დიდი ადამიანი, დიდი მოაზროვნე თავს მოვალედ თვლიდა, აღეზარდა მოსწავლე და ჰყოლოდა, რაც შეიძლება, მეტი მიმდევარი. ასე იყო აზროვნების ყველა სფეროში, ეხებოდა ეს ფილოსოფიას, თეატრალურ ხელოვნებას, პოეზიას თუ სხვა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ამ ანტიკურმა სამყარომ შვა ადამიანი, რომელსაც მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში, თავის



ალექსანდრე მაკედონელი

მასწავლებლად თვლიდნენ. ვინ იყო ეს პიროვნება? ეს იყო ლეგენდარული ჰომეროსი.

**დიდი თავმოყვარეობით გამორჩეულ ბერძნებს ძალზე გამძაფრებული ჰქონდათ ელინური კულტურის განსაკუთრებულობის გრძნობა. ისინი ერთი კარგი თვისებით გამოირჩეოდნენ — ისინი არ თაკილობდნენ ეთქვათ, რომ „მე მყავდა მასწავლებელი." ბერძნები თავიანთ თავს ძველი აღმოსავლური ცივილიზაციის წარმომადგენელთა და წინა ბერძნული მოსახლეობის მოსწავლეებად თვლიდნენ.**

ბერძნული ცივილიზაციის ყველა სფეროს წარმომადგენელი დიდი ხალისით და დარწმუნებით, საუკუნეების განმავლობაში, ჰომეროსს მიიჩნევდა თავის მასწავლებლად. პირველ რიგში, ამას ამბობდნენ ფილოსოფოსები, პოეტები, გეოგრაფები, მედიკოსები... ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის ინსტიტუტი ძალზე მკაფიოდ სწორედ ანტიკურ საბერძნეთში გამოიკვეთა.

პლატონმა მის მიერ დაარსებულ აკადემიაში არაერთი მოსწავლე, შემდგომში კი მისი მიმდევარი, გაზარდა. პლატონი სკოლაში ასწავლიდა იმას, რასაც, ალბათ, ვერ გადმოსცემდა თავის თხზულებებში. დღეს ფიქრობენ იმაზე, რომ მას ჰქონდა ეზოთერიული მოძღვრება, ანუ ისეთი მოძღვრება, რომლის გაგებაც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის შეუძლებელია. მისი აღქმა მხოლოდ სულიერად და აზრობრივად მომზადებულ მოსწავლეებს შეეძლოთ.

აკადემიაში პლატონის გამორჩეულ მოსწავლეთა შორის იყო არისტოტელე. ფილოსოფიაში არისტოტელემ სხვა მიმართულება აირჩია. მისი ინდივიდუალურობა და არჩევანი პლატონისნაირი მასწავლებლის ყოლას უნდა მივაწეროთ, რომელმაც ის დამოუკიდებელ აზროვნებას, ასე ვთქვათ, ჭეშმარიტებასთან მისვლას მიაჩვია. არსებობს ცნობილი გამოთქმა: ,,პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ უფრო დიდი მეგობარია ჭეშმარიტება" — ეს სიტყვები ეკუთვნის არისტოტელეს, რომლითაც, ერთი მხრივ, მასწავლებლის მიმართ მოწიწება გამოიხატა, მეორე მხრივ, კი დიდი სიყვარული საკუთარი გზის არჩევისა. იგივე ბედი ეწია, ფაქტობრივად, არისტოტელეს.

არისტოტელე ძველ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიგურის — ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი იყო. ახალგაზრდა ალექსანდრე მაკედონელი, ასე ვთქვათ, აზროვნების გაკ-



არისტოტელე

ვეთილებს არისტოტელესგან ისმენდა. ის ჰომეროსს კითხულობდა არისტოტელეს მიერ გადაწერილი ეგზემპლარების საშუალებით, რაც ბრძოლის ველზეც დაჰქონდა. რა ასწავლა არისტოტელემ ალექსანდრე მაკედონელს? მან თავის მოსწავლეს ჩაუნერგა, რომ საჭირო არ იყო დიდი სახელმწიფოს შექმნა. ალექსანდრე მაკედონელი აბსოლუტურად საპირისპიროდ მოიქცა. მან შექმნა ვეებერთელა სახელმწიფო და გარდატეხა შეიტანა მსოფლიო ისტორიაში.

რა ჩაუნერგა პლატონმა არისტოტელეს, არისტოტელემ კი ალექსანდრე მაკედონელს? პირველ რიგში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. **არ არის სავალდებულო — უცილობელ ჭეშმარიტებად მიიღო ყველაფერი, რასაც შენი მასწავლებელი გასწავლის. შენ უნდა ისწავლო მისგან ის, რაც შენ დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარება, — ასეთი იყო ის პრინციპი, რითაც დიდი ადამიანები თავის გზას პოულობდნენ ისტორიაში.**

ჩვენ გვაქვს, აგრეთვე, ცოტა უფრო დრამატული შემთხვევები, როდესაც დიდი მასწავლებლების მიმართ მოსწავლეები საკმაოდ უმადურები აღმოჩნდნენ. მსგავსი მაგალითები ჩვენ ხშირად გვხვდება ანტიკურ რომში. ციცერონი, რომელსაც ერის მამად თვლიდნენ და რომელსაც უამრავ მოსწავლეთა შორის რომაული საზოგადოების პოლიტიკურ ელიტაშიც ჰყავდა ბევრი მიმდევარი, მსხვერპლი გახდა საშინელი ტერორისა. როდესაც დადგა საკითხი, თუ რომელი პოლიტიკური ორიენტაცია გაიმარჯვებდა, ციცერონს მისმა პოტენციურმა მოსწავლეებმა თავი მოჰკვეთეს.

ცნობილია, ასევე, დიდი ფილოსოფოსის სენეკასა და მის მოსწავლეს — ნერონს შორის ურთიერთობის ტრაგიკული დასასრული. ნერონი, რომელიც მანიაკალური, პათოლოგიური პიროვნება იყო, ბოლმამ დააბრმავა და მასწავლებელს ასეთი განაჩენი გამოუტანა: სენეკა უყურებდა საკუთარ ვენებს, როგორ იცლებოდა სისხლისგან.

**ასე რომ, დიდი მასწავლებლებიც ყოფილან ძალიან პატარა ადამიანების მასწავლებლები.**

# თუკი საქართველო ზეწოლას გაუძლებს, მოსკოვი იძულებული იქნება, უკან დაიხიოს

პირველი გვერდიდან

ლისუფლება, პოლიტიკოსთა და საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი ჯიუტად უარს ამბობს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე და საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნები თუ მოქმედება "ანტირუსეთულად" მიიჩნევა. სწორედ ამიტომ ურთიერთობის ცივილიზებული მოდელი ორ ქვეყანას შორის ჯერჯერობით ვერ მყარდება და, როგორც ჩანს, ამას არც უახლოეს მომავალში უნდა მოველოდეთ.

პოსტსაბჭოთა პერიოდში მოვლენები ისე წარიმართა, რომ რუსულ ნეოიმპერიალიზმს საქართველოში თავი უძლეველი ეგონა. გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში მოსკოვმა საქართველოში მიაღწია ფაქტობრივად ყველაფერს, რაც მოინდომა. ყველაზე დიდი წარმატება კი, ალბათ, ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი სეპარატისტული რეჟიმები და ცენტრალური ხელისუფლებისათვის "უკონტროლო ტერიტორიები" იყო. სწორედ მათი არსებობა მიიჩნეოდა საქართველოს "არშემდგარ" სახელმწიფოდ გამოცხადების ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში უმთავრეს ამოცანად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო მიჩნეული. ამის მიღწევას შევარდნაძე რუსეთის დაშოშმინების თუ "გულის მოგების" გზით აპირებდა. დიდხანს არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ "აფხაზეთის გასაღები მოსკოვში იყო". სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმებთან მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკებები სხვადასხვა ფორმატით, მთავარ მშვიდობისმყოფელად კი მოსკოვი იყო აღიარებული. კრემლში თავიანთი ძალისხმევით ჩამოყალიბებული მარიონეტული რეჟიმების დათმობას ოდნავაც არ აპირებდნენ. რა იქნებოდა, მაგალითად, თავის დროზე არძინბა ასლან აბაშიძესავით რომ მოქცეულიყო, თავი "საქართველოს შემადგენლობაში" ეცნო და ცენტრალური ხელისუფლებისათვის აფხაზეთი კვლავ "უკონტროლო ტერიტორიად" დაეტოვებინა? მოსკოვში ამგვარი სცენარის განხილვით თავიც არ შეუწუხებიათ.



წლების მანძილზე მიმდინარე მოლაპარაკებებიც და რუსული სამშვიდობო მისიაც ბუტაფორიული ხასიათის იყო და რაიმე ხელშესახები შედეგი, კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, მას არ მოჰყოლია. ეს მოლაპარაკებები სჭირდებოდა რუსეთს, რომელიც 'სამშვიდობო ძალისხმევის" ილუზიას ქმნიდა. მან სეპარატისტული რეჟიმების გარკვეულ ლეგალიზებასაც მიაღწია და მათ კონტროლქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე „მცოცავი ანექსიის" პოლიტიკასაც სულ უფრო შეუნიღბავად ახორციელებდა. 'რუსული თამაშის წესებით" მიმდინარე მოლაპარაკებებში მონაწილეობა სრულიად უპერსპექტივო რომ იყო, ალბათ, შევარდნაძის ხელისუფლებაშიც კარგად ესმოდათ (ამ თამაშის წესების „შედევრი", ალბათ, ცხინვალის კონფლიქტის მოწესრიგებისაკენ მიმართული მოლაპარაკებების ფორმატია _ მასში მონაწილეობს ორი ოსური, ერთი რუსული და ერთი ქართული მხარე. ასე რომ "ქართული მხარე" არათუ ყოველთვის წაგებულია, არამედ სხდომებს ქართული მხარის მონაწილეობის გარეშეც ატარებენ ხოლმე!), მაგრამ ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობით შევარდნაძის ხელისუფლება იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად „რაღაც კეთდება", საზოგადოებაში ინარჩუნებდა კონფლიქტების მოწესრიგების იმედს და ამით ამცირებდა საკუთარ პასუხისმგებლობას ქვეყნის დარღვეულ ტერიტორიულ მთლიანობაზე.

კონფლიქტების მოწესრიგების გასაღების მოსკოვში უშედეგოდ ძიების პარალელურად, ქართულ პოლიტიკაში სულ უფრო ძლიერდებოდა დასავლური ვექტორი. თუმცა, არა იმდენად საქართველო მიიწევდა დასავლეთისკენ, რამდენადაც დასავლეთი და პირველ რიგში აშშ აქტიურად შემოდიოდა სამხრეთ კავკასიაში. ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მზარდი ექსპანსიის შესაჩერებლად. რუსეთის „ველიკოდერჟავული" ამბიციების ზრდა ენერგომატარებლებით მიღებული შემოსავლის ზრდის პირდაპირპროპორციულია.

წლების მანძილზე დასავლეთი საქართველოსგან ორ ერთმანეთთან ფაქტობრივად შეუთავსებელ რამეს ითხოვდა — დასავლეთისკენ გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად მოეწესრიგებინა რუსეთთან ურთიერთობა. არადა, დღეს და უახლოეს მომავალშიც, მოსკოვთან „ურთიერთობის მოწესრიგება" დასავლურ ორიენტაციასთან შეუთავსებელია და მოსკოვში საქართველოს მიერ დასავლეთისკენ გადადგმული ნაბიჯები „ანტირუსულ პოლიტიკად" მიაჩნია.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ უარი თქვა შევარდნაძის მუდმივ „ბალანსირების პოლიტიკაზე" რუსეთსა და დასავლეთს შორის და ცალსახად გამოაცხადა უახლოეს პერიოდში ევროკავშირსა და ნატოში შესვლის მიზნები. ყველაზე ხელშესახები წარმატება ამ მიმართულებით ნატოსთან „ინტენსიური დიალოგის" პროგრამაზე გადასვლაა. რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად კი წამოყენებულია ურთიერთობის „სუფთა ფურცლიდან" დაწყების და ეკონომიკაში რუსული კაპიტალისათვის „კარის ფართოდ გაღების" კონცეფცია. ეკონომიკური ექსპანსიის ახალ შესაძლებლობებზე რუსეთს უარი არ უთქვამს, თუმცა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში რაიმეს დათმობა არც უფიქრია.

მდგომარეობა კი შესამჩნევად გართულდა. სეპარატისტთა ხელში მოქცეულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას უკვე ძნელია ეწოდოს „გაყინული კონფლიქტები", სადაც შენარჩუნებულია საომარი მოქმედებების შეწყვეტის დროს არსებული რეალობანი. რუსეთის „მცოცავი აგრესიის" შედეგად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს მოსკოვი უკვე „თავის ტერიტორიებად" მიიჩნევს. იქ დარჩენილი მოსახლეობისათვის დარიგებული აქვს რუსული პასპორტები და რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური პირები ლაპარაკობენ ე.წ. „კოსოვოს მოდელის" გამოყენებაზე — ე.წ. „სეპარატისტული რეფერენდუმების" გზით აფხაზეთმა და ცხინვალის რეგიონმა რუსეთის შემადგენლობაში უნდა გადაინაცვლოს. ასეთ პირობებში თვალის დახუჭვა, „რუსული სამშვიდობო მისიის" და არსებული ფორმატით მოლაპარაკებების გაგრძელება მხოლოდ რუსული პოლიტიკის წისქვილზე წყლის დასხმა იქნებოდა.

**საქართველოს ხელისუფლება, უბრალოდ, იძულებული იყო ყველაფრისათვის თავისი სახელი დაერქმია და უარი ეთქვა რუსული თამაშის წესებზე, სადაც ყოველთვის წაგებული დარჩებოდა. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს მხრიდან პირდაპირ ითქვა, რომ რუსეთი კონფლიქტურ რეგიონებში დაინტერესებული მხარეა და არ ასრულებს სამშვიდობო მისიას (კონფლიქტურ რეგიონებში მასობრივად გაჩენილი რუსეთის მოქალაქეების „დაცვა" სამშვიდობო ძალების ფუნქციას არ წარმოადგენს). რუსეთის პოლიტიკა შეფასდა, როგორც საქართველოს ტერიტორიების ანექსიის მცდელობა. ცხადია, ყოველივე ამან მოსკოვი დათმობის ხასიათზე სრულიადაც არ დააყენა და მისი კიდევ უფრო მეტად გაღიზიანება გამოიწვია.**

უფრო ადრე, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება მოსკოვთან „სალაპარაკო ტერმინოლოგიას" შეცვლიდა, რუსეთი საქართველოს მიმართ ეკონომიკური სანქციების პოლიტიკას დაადგა. რუსეთში ქართული ექსპორტის ძირითადი სახეობების აკრძალვა, ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის გადაკეტვა და ა.შ., მიზნად ისახავდა საქართველოსთვის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შექმნას, რასაც ხელისუფლების პროდასავლური კურსით უკმაყოფილება და საპროტესტო გამოსვლები უნდა მოჰყოლოდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოვისათვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა ხავერდოვანი რევოლუციები. ჯერ გვარიანად შეშინდა და სასწრაფო ზომები მიიღო დსთ-ს სივრცეში გავრცელებული „რევოლუციური ტალღის" შესაჩერებლად, შემდეგ კი იგივე ტექნოლოგიის გამოყენება სცადა საქართველოში და „პრორუსული გადატრიალებისათვის" მზადებას შეუდგა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულ საქართველოს ხელისუფლებას საუბარი შეუძლია არა მარტო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერებაზე, არამედ დაასახელებს ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების საქმეში მოპოვებულ წარმატებებსაც აჭარაში და ზემო აფხაზეთში. რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს, ამ საკითხში რუსეთი ჯერჯერობით დათმობისათვის არაა განწყობილი. თუმცა, „მცოცავი აგრესიის" პოლიტიკა და საქართველოსთვის მათი „დემოკრატიულ-კოსოვური" ჩამოცილება უკვე აშკარად გაუჭირდება.

საქართველოს მხრიდან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე რუსული პოლიტიკის ისტერიული რეაქცია მეტყველებს იმაზე, რომ მოსკოვში კვლავ ვერ აღიქვამენ საქართველოს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ. ალბათ, არც იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ უახლოეს მომავალში რაიმე უკეთესობისაკენ შეიცვლება და საქართველოს წინააღმდეგ, სულ ცოტა, ეკონომიკურ სანქციებს მოსკოვი დამატებით არ აამოქმედებს, მაგრამ ისიც სასიამოვნოა, რომ რუსი პოლიტიკოსების ოდიოზური განცხადებების შესრულებისკენ მიმართული რაიმე ნაბიჯის გადადგმას პუტინის ხელისუფლება არ აპირებს. ესეც გარკვეული საფუძველია სამომავლოდ დიალოგის დაწყებისათვის. შეურაცხმყოფელი და კონფრონტაციული განცხადებები, ძალის დემონსტრირება და დაშინების მცდელობა ჯერჯერობით ჭარბობს, მაგრამ თუკი საქართველო ზეწოლას გაუძლებს, მოსკოვი იძულებული იქნება უკან დაიხიოს.

წიგნის თარო

# ყველა ქართული სიტყვა ინგლისურად

## დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი გამოვიდა

მაკა ლდოკონენი

**ერთი თვის წინათ თბილისში, შერატონ-მეტეხ-პალასში, გაიმართა ,,დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის" ორტომეულის პრეზენტაცია. იგი ბრიტანეთის აკადემიის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ კვლევათა საბჭოს (Arts and Humanities Research Council) ფონდის დაფინანსებით გამოიცა ლონდონში.**

**ამ ლექსიკონის ძირითადი პრინციპები მოხსენების სახით ჯერ კიდევ 1988 წელს წარუდგინა პროფესორმა დონალდ რეიფილდმა (ლონდონის უნივერსიტეტი) პარიზში გამართულ ევროპელ კავკასიოლოგთა საზოგადოების (SCE) IV კოლოკვიუმს.**

**მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ, 2001 წელს, ლექსიკონის ინგლისელ და ქართველ შემდგენელთა ძალისხმევის შედეგად, დაიწყო ამ მასშტაბური პროექტის განხორციელება. ექვსწლიანი დაძაბული მუშაობა წლევანდელი ზაფხულის დამლევს წარმატებით დასრულდა.**

**მოკლე ისტორია:**

1973 წელს ახალგაზრდა ინგლისელი მეცნიერი **დონალდ რეიფილდი** პირველად ჩამოვიდა საქართველოში. იგი მაშინ რუსული მწერლობის ისტორიას იკვლევდა და იმის გამო, რომ მის მიერ შესწავლილი რუსი პოეტები თავიანთ ნაწარმოებებში საქართველოს ხშირად იხსენიებდნენ, ამ ქვეყნის გაცნობის სურვილი გაუჩნდა.

მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ქართული ენის მასწავლებელი და დამკვალიანებელი **შუქია აფრიდონიძე** იყო.

პირველი სტუმრობისას დონალდ რეიფილდმა საქართველოში ორთვენახევარი დაჰყო, ქართულად ალაპარაკდა და შემდგომში ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის შესანიშნავი მკვლევარი გახდა, თარგმნა და გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, ვაჟა-ფშაველას სამი პოემა, ილიას პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული", აკაკის „ჩემი თავგადასავალი" და სხვ.; იმუშავა აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურული ენციკლოპედიის ქართულ ნაწილზე, რომლის საფუძველზედაც დაწერა წიგნი „ქართული ლიტერატურის ისტორია" (V საუკუნიდან დღემდე). ეს წიგნი, რომელიც ორჯერ გამოიცა ინგლისში (ოქსფორდსა და ლონდონში), იქცა ლექსიკონის შექმნის ერთგვარ წინაპირობად.

ცნობილი ენათმეცნიერი, პროფესორი შუქია აფრიდონიძე იხსენებს: „როცა ბატონ დონალდთან პირველი გაკვეთილები მქონდა, ბუნებრივია, მაშინ არც გვიფიქრია ლექსიკონის შექმნაზე, თუმცა აშკარად განვიცდიდით თარგმნითი ლექსიკონების და, განსაკუთრებით, ქართულ-ინგლისური ლექსიკონის უქონლობას. რაც დრო გადიოდა, მის აუცილებლობას სულ უფრო მეტად ვგრძნობდით და ბოლოს, 15 წლის შემდეგ, დონალდ რეიფილდმა ჩაიფიქრა და მოგვიანებით ითავა კიდეც ამ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება".

„დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე" მუშაობდნენ ინგლისის მხრიდან



დონალდ რეიფილდი და შუქია აფრიდონიძე . ინგლისი.

— პროფესორი **დონალდ რეიფილდი** (მთავარი რედაქტორი) და დოქტორი **ლორენს ბროერსი**, საქართველოს მხრიდან — პროფესორები **შუქია აფრიდონიძე, არიანე ჭანტურია, თინათინ მარგალიტაძე, ლევან ჩხაიძე** და დოქტორი **რუსუდან ამირეჯიბი**.

დონალდ რეიფილდს სურდა ვრცელი და სრულყოფილი ლექსიკონის შექმნა და მასზე მომუშავე ჯგუფს მიზნად დაუსახა ქართული ენის შეძლებისამებრ სრული ლექსიკური კორპუსის წარმოდგენა — როგორც სალიტერატურო ენის (უძველესი, კლასიკური თუ თანამედროვე), ასევე სასაუბრო მეტყველებისა და დიალექტური მასალის გათვალისწინებით.

ყოველი ლექსიკონი ასახავს მოცემული პერიოდის ენობრივ ვითარებას, აქედან გამომდინარე, ლექსიკონზე მომუშავენი ვერ დაკმაყოფილდებოდნენ მხოლოდ 1950-1964 წლებში გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულით. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ენა განვითარდა, შეიცვალა, დაემატა ახალი სიტყვები; თუ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით შედგენილ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში 113 ათასი ერთეული სიტყვა იყო შესული, „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში" 140 ათასამდე ერთეული შევიდა. აქვეა შეტანილი ძველი ქართულის შეძლებისდაგვარად სრული ლექსიკური მასალა (ი. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონებიდან). ძველი ქართულისა და მოძველებული სიტყვების გასამიჯნავად სპეციალურად მოიწვიეს პროფესორი **ზურაბ კიკნაძე**.

ლექსიკონში შესულია აგრეთვე მნიშვნელოვანი მასალა ქართული ყოველდღიური და კვირეული პრესის (1999-2002) მონაცემთა ბაზიდან (შეკრებილი **ირაკლი იაკობაშვილის** მიერ); თანამედროვე ქართველი მწერლების (ძირითადად პროზაიკოსთა ნაწარმოებებში გამოყენებულ სიტყვა-ფორმათა სია, რისთვისაც ეფექტური საძიებო სისტემა შექმნეს **ლევან ჩხაიძემ** და **დავით ჯაშმა**; გამოყენებულია თანამედროვე ქართული ენის 30-მდე დიალექტური ლექსიკონი თუ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ივანე ჯავახიშვილის

მე-12 გვერდზე

# ერლანგენის ამაჩქარებელს თბილისში გადმოიტანენ (?)

*ჯეიმს ჯოისი ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მის მიერ გამოყენებული (ან უფრო, მოგონილი) სიტყვა „კვარკი“ ელემენტარული ნაწილაკის მნიშვნელობას შეიძენდა და მსოფლიოს უდიდესი ფიზიკოსები მის ძებნას დაიწყებდნენ. მას შემდეგ, რაც გალილეიმ ივარაუდა სამყაროს აგებულების სიმარტივე და ნიუტონმა აღმოაჩინა, რომ დედამიწის მოძრაობას სულ რაღაც ორი-სამი ფუნდამენტური კანონი ხსნის, ფიზიკოსები ცდილობენ დაადასტურონ, რომ ეს ასეა — ანუ ბუნება არ შეიძლება იმდენად რთული იყოს, რომ მის ელემენტარულ ნაწილაკს — „სამშენებლო აგურს“ ვერ მიაგნო.*

მაია ტორაძე

წარმოვიდგინოთ, რამდენი „საუკუნის აღმოჩენა“ გაკეთდა მას შემდეგ, რაც სამყაროს ძირითად სტრუქტურულ ერთეულად მიჩნეული მოლეკულის ატომებად დაშლა მოხერხდა: ატომის შემადგენელი ბირთვი და მის ირგვლივ მოძრავი ელექტრონები, ბირთვის შემადგენელი პროტონები და ნეიტრონები, მათი შემადგენელი ელემენტარული ნაწილაკები, რომელთა რაოდენობა დღეისათვის რამოდენიმე ასეულს აღწევს... ფიზიკოსთა ამ რბოლას სამყაროს შეცნობისკენ თითქოს უსასრულობამდე მივყავართ, მაგრამ მეცნიერები ჯიუტად იმეორებენ, რომ ბუნება არ არის ასეთი არაერთგვაროვანი და რომ ელემენტარული ნაწილაკების შემადგენელი აგურების რაოდენობა უფრო მცირეა, ვიდრე ნაწილაკების უკვე აღმოჩენილი ნაირსახეობა...

ფიზიკის განვითარებაში ოთხ ერას გამოყოფენ: 1) ატომური; 2) ელექტრონულ-რადიაციული; 3) კვარკ-ლეპტონური და 4) გრავიტაციული. როგორც ამბობენ, ჯერ კვარკ-ლეპტონურ ერაში ვართ და თანამედროვე ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში მიმდინარე ექსპერიმენტები თუ თეორიული კვლევები მიმართულია იქით, რომ შეისწავლონ კვარკების ფიზიკური ბუნება, ანუ როგორ იქცევიან ისინი ნუკლონებში — პროტონში, ნეიტრონში, მეზონებში... იმისათვის, რომ რაც შეიძლება მცირე მანძილებზე დაინახონ, რა ხდება მიკროსამყაროში და შეაღწიონ პროტონის შუაგულში, საჭიროა ძალიან დიდი ენერგიის ნაწილაკების დაჯახება. ამისათვის შენდება ძვირადღირებული ამაჩქარებლები, რომელთა ექსპლუატაცია შესაძლებელია ფიზიკოსთა საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით.

სწორედ კოლექტიური თანამშრომლობის დამკვიდრებამ განსაზღვრა განვითარებადი და მცირე სახელმწიფოების ჩაბმა კაცობრიობისათვის მნიშვნელოვან პროცესებში, რადგან ამგვარი კვლევების გრანდიოზულობა, მატერიალური და ფინანსური თვალსაზრისით, ერთი ქვეყნის შესაძლებლობებს აღემატება.

ექსპერიმენტების ღირებულება რამოდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს აჭარბებს. მათი წარმატებით ჩატარებისათვის საწყის ეტაპზევე შეიქმნა საერთაშორისო თანამშრომლობები სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში — სტენფორდში, ციურიხში, ჟენევაში, დუბნაში, იულიხში, ტრიესტში, სადაც მსოფლიოს უდიდეს ფიზიკოსებთან ერთად ქართველი მეცნიერებიც მოღვაწეობენ. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს, მით უფრო იმ ფონზე, რომ დარმშდატის ახალი ამაჩქარებლის აშენებისთვის, მაგალითად, რუსეთმა 70 მილიონი დოლარი შეიტანა, ასეთ პროექტებში ჩვენს ფინანსურ მონაწილეობაზე საუბარი გადაჭარბებული იქნება, მაგრამ არის მეორე მხარე — მეცნიერული შესაძლებლობები, რაშიც საქართველო ტოლს არ უდებს მსოფლიო სამეცნიერო ელიტას.

ის ფაქტი, რომ 4-8 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა კავკასიურ-გერმანულ სკოლა-სემინარს ჰადრონულ (ელემენტარული ნაწილაკების) ფიზიკაში, თავისთავად მეტყველებს ამ სფეროში მოღვაწე ქართველი მეცნიერების დამსახურებასა და დიდ წვლილზე საერთაშორისო პროექტებში. სემინარი მეორედ ჩატარდა და მისი ორგანიზატორები იყვნენ თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტი და გერმანიის ქალაქ იულიხის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი.

საქართველო ამ საერთაშორისო თანამშრომლობებში ჩართულია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, რაც დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტთან ქართველი მეცნიერების ურთიერთობის შედეგია. ამ ინსტიტუტის



ექსპერიმენტულ ბაზაზე შექმნილ საერთაშორისო თანამშრომლობებში ჩვენმა მონაწილეობამ განაპირობა კავშირების დამყარება სხვა საერთაშორისო პროექტებთან.

თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მიხეილ ნიორაძე ამ კავშირებს ქართველ ფიზიკოსებს — ნოდარ ამაღლობელს, რეზო სალუქვაძესა და ალბერტ თავხელიძეს უმადლის. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტთან ურთიერთობით სწორედ მათ გაჭრეს პირველი გზა ფიზიკოსთა საერთაშორისო თანამშრომლობებისკენ.

მიხეილ ნიორაძე:

— დუბნის ექსპერიმენტებში მონაწილეობას იღებდნენ ძირითადად სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. ამ პერიოდში ევროპაში, კერძოდ, ჟენევაში შეიქმნა ბირთვული გაერთიანებული კვლევების ცენტრი, რომელშიც დასავლეთის, იაპონიისა და ამერიკის მეცნიერები მონაწილეობდნენ, თუმცა დამფუძნებლები, ძირითადად, ევროპის ქვეყნები იყვნენ. მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, ჩვენ მოგვეცა საშუალება უფრო მჭიდრო კონტაქტები დაგვემყარებინა დასავლეთის მეცნიერებთან. გამოცდილებამ, რომელიც მივიღეთ დუბნაში ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებით და მეცნიერული დონის ამაღლებით, შესაძლებლობა მოგვცა გავერთიანებულიყავით ისეთ საერთაშორისო თანამშრომლობებში, როგორიც იყო ჟენევაში მიმდინარე ექსპერიმენტები. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან კონტაქტი დავამყარეთ გერმანიის ქალაქ იულიხის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტთან, სადაც ახლაც მოღვაწეობენ ქართველი მეცნიერები. მათ შორის ერთ-ერთი — ანდრო კაჭარავა გახლავთ ქალაქ იულიხის ბირთვული კვლევების ცენტრის ამაჩქარებელზე საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე ANKE კოლაბორაციის ლიდერი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ გია ხუბუასთან შეხვედრისას იულიხის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ჰანს შტროერმა ისაუბრა კონტაქტების კიდევ უფრო გაფართოების თაობაზე არა მხოლოდ ფიზიკოსებს შორის, არამედ სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მთლიანად იულიხის კვლევათა ცენტრს შორის, რომელიც აერთიანებს 9 ინსტიტუტს. მათ შორის: სამედიცინო, გამოთვლითი ტექნიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკური მედიცინის ინსტიტუტებს.

იულიხის კვლევათა ცენტრში მიმდინარე ექსპერიმენტებში ქართული მხარის მონაწილეობა დაიწყო იმ დროიდან, როცა ეს ამაჩქარებელი ექსპლოატაციაში შევიდა. ამ პროექტში ქართველ მეცნიერთა წვლილი გამოიხატა ახალი ტიპის სრული შინაგანი არეკვლის პრინციპზე მომუშავე ჩერენკოვის მთვლელების შექმნით, რომელიც წარმატებით გამოიყენება დღესაც. ასეთი ძვირადღირებული აგრეგატის აგება მოხერხდა ძირითადად გერმანიის მხარის დაფინანსებით. ჩვენმა ქვეყანამ ამ საქმისთვის გაიღო 10 ათასი ლარი, რომელიც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტმა გამოყო და რომელიც მხოლოდ კარკასისთვის საჭირო რკინის შესაძენად კმაროდა. მხოლოდ ეს არის საქართველოს ფინანსური შენატანი ექსპერიმენტში, რომელიც რამდენიმე მილიონი ევრო ღირს და რომელშიც 7 ქვეყნის 20-მდე ინსტიტუტი მონაწილეობს.

კავკასიურ-გერმანული სკოლა სემინარი მიეძღვნა იულიხის კვლევათა ცენტრში მიმდინარე სამუშაოების განხილვა-შეჯამებას, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერები გერმანიიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, სომხეთიდან.

გარდა წმინდა სამეცნიერო კვლევა-ძიებათა შეფასებისა, ცნობილმა მეცნიერებმა ეჰარდ შტეფენსმა (ერლანგენის უნივერსიტეტი — გერმანია), ჰანს შტროერმა (იულიხის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი — გერმანია), კოლინ ვილკინმა (ლონდონის უნივერსიტეტი — ინგლისი) და ჯონი ჩქარეულმა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი) ახალგაზრდებისთვის პოპულარულ ენაზე წაიკითხეს ლექციები თანამედროვე ფიზიკის საკითხებზე. ამ სფეროთი ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესება იმიტომაცაა საჭირო, რომ 2007 წლისათვის ჟენევაში დაგეგმილია ახალი დიდი ამაჩქარებლის გაშვება. აქ იგეგმება ექსპერიმენტი (ATLAS; CMS), რომელშიც განსაზღვრულია თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის და ინფორმატიზაციის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა მონაწილეობაც (ეს ამაჩქარებელი მოთავსებულია შვეიცარიისა და საფრანგეთის ტერიტორიების ქვეშ, დედამიწის ზედაპირიდან 100 მეტრის სიღრმეში და მისი გარშემოწერილობაა 27 კილომეტრი).

კავკასიურ-გერმანული სკოლა-სემინარის როლს ახალგაზრდა ფიზიკოსების დაინტერესებაში მაღალ შეფასებას აძლევს ბატონი ანდრო კაჭარავა. მისი აზრით, ასეთი კონფერენციების მოწყობა, რომელიც ამ შემთხვევაში მთლიანად იულიხის ბირთვული კვლევების ცენტრის ინიციატივაა, პირველ რიგში ემსახურება ამ რეგიონში ზუსტი მეცნიერებებისადმი ინტერესის გაზრდას.

ანდრო კაჭარავა:

— ეს სემინარი ეწყობა ძირითადად სტუდენტებისთვის. სამწუხაროდ, სასწავლო პროცესის დროს იმ რანგის მეცნიერების ჩამოყვანა, რომლებიც ამ სკოლა-სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ, რთულია, რის გამოც დარბაზში სტუდენტთა სასურველი რაოდენობა არ იყო, მაგრამ დაინტერესებულებმა მაინც „მოგვაგნეს“. იულიხის ბირთვული კვლევების ცენტრის დირექტორი, ბატონი ჰანს შტროერი ძალზე კეთილგანწყობილია ქართველი მეცნიერების მიმართ და რადგან ჩვენი მხრიდანაც დიდია დაინტერესება, ეს ხელს გვიწყობს, რომ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ახლო კონტაქტი ჰქონდეთ ახალ ტექნოლოგიებთან, ახალ ექსპერიმენტებთან, აღმოჩენებთან.

ასეთ პროექტებში ბევრი დიდი ქვეყანა არ არის ჩართული იმის გამო, რომ საერთაშორისო თანამშრომლობებთან მუშაობის ტრადიცია არ აქვთ. ჩვენ კი ახალგაზრდებს ვაძლევთ საშუალებას, ისწავლონ, მიიღონ გამოცდილება, დააგროვონ თეორიული ცოდნა და შემდგომ დაუბრუნდნენ თავიანთ უნივერსიტეტებს ახალი კადრების მოსამზადებლად.

სემინარზე დაიგეგმა თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის და ქართველი მეცნიერების მონაწილეობა კიდევ ერთ ახალ ექსპერიმენტში, რომელიც გერმანიაში 2012 წლიდან დაიწყება. ამისათვის დარმშდატში შენდება სრულიად ახალი ამაჩქარებელი, რომლის მეშვეობითაც, პირველად ექსპერიმენტების ისტორიაში, პოლარიზებული ანტიპროტონები იქნება აჩქარებული.

აქვე გაჟღერდა პროფესორ ეჰარდ შტეფენსის ინიციატივა, რომელიც ეხება ერლანგენის უნივერსიტეტში არსებული ამაჩქარებლის თბილისში გადმოტანას. ამ ამაჩქარებელზე კვლევები მიმდინარეობდა არა მარტო ფიზიკაში, არამედ ბიოფიზიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, მედიცინაში. მისი დახმარებით შესაძლებელია არქეოლოგიური ნიმუშების ზუსტი თარიღების დადგენა, რაც თბილისის უნივერსიტეტში აქამდე ხდებოდა ნახშირბადის მეთოდით, რომელიც მოითხოვდა ნიმუშების მეტ რაოდენობას, ვიდრე ზემოთ აღნიშნული დანადგარი. ერლანგენის ამაჩქარებელს მასალის მხოლოდ მილიგრამები სჭირდება და გაცილებით ზუსტად საზღვრავს თარიღს.

ამ ფაქტს ბატონი მიხეილ ნიორაძე ჩვენი რეგიონისთვის მნიშვნელოვან მოვლენას უწოდებს:

— ასეთი დანადგარი შავი ზღვის აუზის ქვეყნებს არ გააჩნიათ. ის დიდი ხნის შექმნილია, მაგრამ შესაძლებლობები გაცილებით თანამედროვე და რეალური აქვს, რადგან მრავალჯერ ჩაუტარდა ტექნიკური განახლება. ჩვენ ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, სადაც სისტემატურად მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები და, სხვა თუ არაფერი, ამ მიმართულებით შეიძლება დაინტერესდეს თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, ბულგარეთი, რუმინეთი...

კონფერენციის მსვლელობის დროს საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის საქართველოს განყოფილების უფროსთან, ქალბატონ ირინა ხომერიკთან ერთად განვიხილეთ, როგორ შეიძლება დაფინანსების მიღება ამ ცენტრიდან. ალბათ დაგვჭირდება სხვა და სხვა ფონდის დახმარებაც, რადგან ამაჩქარებლის დაშლას, ჩამოტანას, დამონტაჟებას და შემდგომ მის ექსპლუატაციას გარკვეული თანხა და კვალიფიციური პერსონალი სჭირდება. ჩვენ მოსამზადებელ სამუშაოებს ვატარებთ — ვმუშაობთ პროგრამაზე, რომელშიც, სხვა ინფორმაციასთან ერთად, ახსნილია მიზანი — რისთვის არის ამ დანადგარის ჩამოტანა საჭირო. ვფიქრობთ, დაინტერესებულთა რიგებში იქნებიან როგორც ფიზიკოსები, ასევე არქეოლოგები, ქიმიკოსები, ბიოლოგები, მედიკოსები და სხვა. სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, ამ საკითხმა, შესაძლოა, მთავრობის ყურადღებაც მიიქციოს.

როგორც გაირკვა, ჯერ ცნობილი არ არის, სად უნდა დაიდგას დანადგარი. ასევე დასაზუსტებელია, მთლიანად ამაჩქარებელი ჩამოიტანონ თუ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც არქეოლოგიურ თუ სხვა სახის კვლევებში გამოგვადგება. პრობლემა არის კადრების მომზადებაც. დანადგარს სულ 4-5 ადამიანი ემსახურება, მაგრამ მათი კვალიფიცირებისთვის გარკვეული თანხების მოძიებაა საჭირო.

ინტერესი დიდია _ ამ ამაჩქარებელმა, ფიზიკოსებთან და არქეოლოგებთან ერთად, შეიძლება დახმარება გაუწიოს ონკოლოგებს, სხივური მედიცინის სფეროში და ბიოლოგებს, რომლებიც მისი მეშვეობით შეისწავლიან რადიაციის მოქმედებას ცოცხალ ორგანიზმებზე.

ფიზიკოსების დაჟინება — როგორმე მიაგნონ სამყაროს აგურს, ფანტასტიკას აღარ განეკუთვნება. განსაკუთრებით სასიამოვნო ისაა, რომ ფუნდამენტურ კვლევებში ქართველი მეცნიერებიც მონაწილეობენ. ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანმა სამყაროს წარმოშობის საიდუმლოებასაც მიაგნოს...

**სურათზე:** საერთაშორისო თანამშრომლობებში ჩართულ ქართველ ფიზიკოსთა ერთი ჯგუფი ბონის კონფერენციაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ტარიელ სახელაშვილი (ჟენევა, ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი), ანდრო კაჭარავა (ქ. იულიხის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი), დავით ჭილაძე (ქ. იულიხის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი), ზვიად ორაგველიძე (თსუ კიბერნეტიკის ფაკულტეტის სტუდენტი), მიხეილ ნიორაძე (თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი), გოგი მაჭარაშვილი (დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი), მირიან ტაბიძე (თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი).

## გამონათქვამები ფიზიკასა და ზოგადად მეცნიერებაზე

„ფიზიკოს-თეორეტიკოსი ყბედი იქნებოდა, ქაღალდზე უამრავ ნიშანს რომ არ ტოვებდეს“.

*ლ. ლანდაუ*

„არსებობს ერთ მეცნიერება — ფიზიკა. სხვა დანარჩენი მარკების კოლექციის შეგროვებაა“.

*რეზერფორდი*

„მეცნიერი — ეს არის ადამიანი, რომელიც რაღაცაში თითქმის დარწმუნებულია“.

*ჟ. რენერი*

„ო. ფიზიკავ, მიხსენი მეტაფიზიკისაგან!“

*ი. ნიუტონი*

„ჭეშმარიტება იმაზე უფრო გვიან გაირკვევა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა“.

# ჩვენ უნივერსიტეტის ერთიანი გუნდი ვართ!

## სტუდენტური მოძრაობები გაუქმდა

მაკა ლდოკონენი

ახალ სასწავლო წელს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი სტუდენტებს მრავალ სიახლეს სთავაზობს: დაგეგმილია არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება. ფეხბურთის ფედერაციასთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ფეხბურთის ეროვნული ნაკრების მონაწილეობით გამართულ ყველა თამაშზე უნივერსიტეტისათვის გამოიყოფა 1000 ბილეთი 50%-იანი ფასდაკლებით. აქედან სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის 100 ბილეთი უფასო იქნება. მოლაპარაკება მიმდინარეობს კინოთეატრ „რუსთაველის" ადმინისტრაციასთანაც უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ფილმებზე დასასწრები ბილეთების შეღავათიან ფასში შესყიდვის თაობაზე. ახლო მომავალში სადაზღვევო კომპანია BCI სტუდენტებს ინდივიდუალურ დაზღვევას შესთავაზებს, რითაც სიმბოლურ ფასად სამედიცინო მომსახურეობით სარგებლობა გახდება შესაძლებელი.

ჩევნები 30 ოქტომბერს გაიმართება. ვაპირებთ, მონაწილეობა მივიღოთ სასწავლო რეფორმების განვითარებაშიც" — აღნიშნა გიორგი ავალიანმა.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და მისი თანამოაზრეები მიიჩნევენ, რომ პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება არაჩვეულებრივი ექსპერიმენტი იყო, რის შედეგადაც უნივერსიტეტში საკმაოდ ძლიერი კონტინგენტი მოვიდა. ,,დიახ, ნამდვილად ასეა, ამ ახალგაზრდებს ნამდვილად სურთ სწავლა, არ ეზარებათ მეცადინეობა და შრომა, მათთვის სტუდენტობა უნივერსიტეტის ეზოში დროის გაყვანას არ გულისხმობს", — განაცხადა თვითმმართველობის ლიდერმა.

თვითმმართველობის პრეზიდენტი სტუდენტური მოძრაობების თემასაც შეეხო. ადრე უნივერსიტეტში, საინიციატივო ჯგუფების სახით, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე რამდენიმე სტუდენტური მოძრაობა არსებობდა. დღეისათვის სიტუაცია შეიცვალა. გიორგი ავალიანის თქმით, ამჟამად უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია



„შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ საქართველოში ყველაზე ძლიერი სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო ვართ. ჩვენ ნებისმიერ სტუდენტურ ინიციატივას განვიხილავთ და შემდგომ, ვიმუშავებთ იმ თემებზე, რომელიც უფრო აქტუალური იქნება. უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონის თანახმად, უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტებს უდიდესი უფლებები მოგვანიჭეს: წარმოვადგენთ საფაკულტეტო საბჭოების ერთ მესამედს, არჩეული ვიქნებით წარმომადგენლობით საბჭოშიც, რომლის არ-

ერთი ძლიერი, ცენტრალიზებული სტრუქტურა — სტუდენტური თვითმმართველობა. ყველა აქამდე არსებული ორგანიზაცია ავტომატურად გაუქმდა. ამ სტუდენტურ მოძრაობებს იუსტიციის სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსით დარეგისტრირება შეუძლიათ. ,,თუმცა, მათ უნივერსიტეტთან არანაირი კავშირი არ ექნებათ. ჩვენ უნივერსიტეტის ერთიანი გუნდი ვართ!" — განაცხადა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა.

# სტუდქალაქი წარსულს მისტირის

მანანა ჯურხაძე

სტუდქალაქში სტუდენტების გარდა, თითქმის ყველა ცხოვრობს. ,,ბაგებში სულ ხუთი კორპუსია. პირველ კორპუსში უცხოელები ცხოვრობდნენ, მაგრამ შენობის ავარიული მდგომარეობის გამო დღეს ის ცარიელია. მეორე კორპუსში, სადაც სტუდენტები ცხოვრობენ, სამწუხაროდ, ბოლო სართულს ვერ ვიყენებთ, რადგან სახურავია შესაკეთებელი. მესამე კორპუსში, ძირითადად, აუდიტორიებია განთავსებული, ხოლო მეოთხე და მეხუთე კორპუსებში 1600-ზე მეტი დევნილია შესახლებული. ასე რომ, მას სტუდქალაქი შეიძლება პირობითად ვუწოდოთ." — ასეთია სურათი, რაც სტუდქალაქის მმართველმა დავით ქოქოსაძემ დახატა. სტუდქალაქის ხელმძღვანელობა წარსულს მისტირის: ,,ჩვენი სურვილია, რომ აქ, რაც შეიძლება, ბევრმა სტუდენტმა იცხოვროს. ადრე აქ სიცოცხლე ჩქეფდა. ეზო მუდამ ახალგაზრდებით იყო სავსე. ეწყობოდა ექსკურსიები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები... ჩვენი სტუდქალაქი 80-იან წლებშია აშენებული. ჩვენთან სტუდენტობა გაატარეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ბატონმა რომან გოცირიძემ, უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ, აკაკი ბობოხიძემ და სხვებმა..."

რატომ არ აქვს შუქი და წყალი დედაქალაქის თითქმის ცენტრში მოქცეულ კომპლექსს? სტუდქალაქს ელექტროენერგია დღის განმავლობაში მხოლოდ ორი საათით მიეწოდება. ,,გვპირდებიან, რომ ეს პრობლემა, სტუდენტებისთვის მაინც, მალე მოგვარდება. ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის ყველა სართულზე ინდივიდუალური მრიცხველები დამონტაჟდება." — განაცხადა დავით ქოქოსაძემ. მისი ინფორმაციით, სტუდენტი არ ხარჯავს დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას. ის საღამოს ისეთი დაღლილი მიდის, რომ ვახშამსაც იშვიათად იკეთებს. ამავე დროს, სტუდენტებს თურმე კატეგორიულად ეკრძალებათ გამათბობლების ჩართვა. „მათ ოთახებს სისტემატურად ვამოწმებთ და ვიცით, რომ ისინი ელექტროენერგიას დაუდევრად არ ხარჯავენ", — აღნიშნა სტუდქალაქის მმართველის მოადგილემ კობა კაპანაძემ.

როგორც გაირკვა, გასულ წელთან შედარებით წელს უფრო მეტი გამოთქვამს სტუდქალაქში ცხოვრების სურვილს, თუმცა, პირველ რიგში, ყველა სტუმარი ელექტროენერგიის პრობლემით ინტერესდება.

ცნობისთვის: სტუდქალაქში საცხოვრებლად სტუდენტმა განცხადება უნდა დაწეროს სტუდქალაქის მმართველის სახელზე, უნდა დაურთოს პირველი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი და ორი ფოტოსურათი. სტუდქალაქში სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებსაც შეუძლიათ ცხოვრება. ოღონდ მათ განცხადებით უნდა მიმართონ რექტორს ან მის მოადგილეს. თანხმობის შემთხვევაში, სხვა დანარჩენ დოკუმენტაციასთან ერთად, ეს ცნობაც უნდა წარადგინონ. სტუდენტი წელიწადში 270 ლარს იხდის.

სტუდენტების საცხოვრებელ კორპუსს უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის თანამშრომლები იცავენ.

„ჩვენ კორპუსში წესრიგს ვიცავთ. დარღვევის ყველა ფაქტი დეკანატს უნდა შევატყობინოთ. დასჯის სავადასხვა ფორმა არსებობს, უკიდურესი ზომა — სტუდქალაქიდან გასახლებაა", — აღნიშნა ჩვენთან საუბარში დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა.

**რით ცხოვრობენ სტუდენტები და რა პრობლემები აქვთ მათ? ამ შეკითხვით მივმართეთ სტუდქალაქის ბინადარ სტუდენტებს, რომლებიც არც თუ ადვილი მოსაძებნი არიან.**

**შალვა ჩიქოვანი,** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი:

— ყველა საჭირო საბუთი შევაგროვე და უპრობლემოდ მიმიღეს. რომ გითხრათ, აქაურობით აღფრთოვანებული დავრჩი_მეთქი, არ დამიჯერებთ. ვაპირებ კოსმეტიკური რემონტის გაკეთებას. იმედი მაქვს, ელექტროენერგიაც მოწესრიგდება, მთელ სტუდქალაქში თუ არა, ამ კორპუსში მაინც.

**ივლიანე ნოზაძე,** ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მეორე კურსის მაგისტრანტი:

— მე სოფელ მეჩხეთურიდან ვარ. აქ რომ მოვედი, ორი საწოლი დაგვხვდა, ერთი გატეხილი იყო და გადავაგდეთ; მაგიდა და სკამები ჩვენ შევიძინეთ, ფარდებიც ჩვენ დავკიდეთ. ბევრი ჩემი ნათესავი და კურსელიც აქ ცხოვრობს. საღამოობით ვიკრიბებით ხოლმე, ყავას ვსვამთ და ვლაპარაკობთ. თუ სწავლა არ გავაგრძელე, მაშინ, მაგისტრატურას მოვრჩები თუ არა, წავალ. მიუხედავად იმისა, რომ დღელამის განმავლობაში დენს მხოლოდ ორი საათით გვაძლევენ და ძალიან რთულ საყოფაცხოვრებო პირობებში გვიხდება ცხოვრება, მაინც მომენატრება აქაურობა, რადგან ძალიან შევეჩვიე და მიყვარს კიდეც.

ვისურვებდი, სტუდქალაქი იყოს ის ადგილი, სადაც მხოლოდ სტუდენტები იცხოვრებენ, ექნებათ სპორტული კომპლექსები, კულტურული ღონისძიებების გასამართი ადგილები და ყველაფერი, რაც ახალგაზრდა ადამიანს, სტუდენტს სჭირდება.

### ამბიციური, მაგრამ რეალური პროექტი — ახალი სტუდქალაქის მშენებლობა იგეგმება

14 აგვისტოს ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეზიდენტის, პროფესორ ქენდის ვენკოს საქართველოში ერთკვირიანი ვიზიტის შედეგად თსუ-ს მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების სტუდქალაქის (კამპუსის) მშენებლობა დაიგეგმა. ამერიკელ პროფესორს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გიორგი ხუბუა მასპინძლობდა.

ვიზიტის ფარგლებში ნიუ იორკისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ხელმძღვანელები არაოფიციალურ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ესაუბრნენ. პრეზიდენტი განსაკუთრებით სტუდქალაქის მშენებლობის იდეით დაინტერესდა და სამომავლოდ პროექტის ავტორებს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

„საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას გაირკვა, რომ საქართველოსთვის უნივერსიტეტის განვითარება უმნიშვნელოვანესი პროცესია. ჩვენ შემუშავებული გვაქვს ის პრიორიტეტები, რაც ჩვენი პროექტების განხორციელებისას ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება. ესენია: ტურიზმის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ურბანისტიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის, საექთნო მედიცინის განვითარება. ხოლო ამერიკული სტუდენტური კამპუსი ქართველ სტუდენტებს საშუალებას მისცემს, სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებით იცხოვრონ'', — განაცხადა ქენდის ვენკომ თსუ-ში სპეციალურ ბრიფინგზე.

თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან 100 ჰექტარზე თანამედროვე სტუდქალაქის მშენებლობას ''ამბიციური, მაგრამ რეალური პროექტი'' უწოდა და აღნიშნა, რომ სტუდენტებისათვის სათანადო ცხოვრების პირობების შექმნის შემდეგ საქართველოში განათლების მიღებით კიდევ უფრო მეტი უცხოელი დაინტერესდება, განსაკუთრებით — საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები.

სტუდქალაქის მშენებლობისათვის თანხების მოზიდვა კერძო ინვესტიციებით იგეგმება. წინასწარი ინფორმაციით, მშენებლობას მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამშენებლო კომპანია ჩაუდგება სათავეში.

სტუდენტური ექსპედიცია

# ექსპედიციის წევრებს ფარავნის ტბაში ოქრო ეგულებათ (?)

მაკა ლდოკონენი

პირველი ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში, ფარავნის ტბის მიდამოებში, 2000 წელს საპატრიარქოს მხარდაჭერით მოეწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი-ოკეანოლოგი ირმა მაკალათია ექსპედიციის მონაწილეებს 2001 წლიდან შეუერთდა. 2002 წელს კი მან თავისი ჯგუფი დამოუკიდებლად ჩაიყვანა როდიონოვკაში. უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა როინ მეტრეველმა ექსპედიციის მოთავეებს ტბის მახლობლად ოდესღაც გაკეთებული კოტეჯების აღსადგენად 15 000 ლარი გამოუყო. რაც ყველაზე მთავარია, ექსპედიციის მონაწილეებმა ჩვენთვის ,,ჩაკარგულ" სოფელ როდიონოვკას მისი ისტორიული სახელწოდება — თავფარავანი დაუბრუნეს.

ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ არქეოლოგები, ჰიდროლოგები, ოკეანოლოგები, მეტეოროლოგები და იურისტები, რომლებიც აკვირდებოდნენ ამინდს, იწერდნენ ყოველდღიურ პროგნოზს, სწავლობდნენ ფარავნის ტბას. ზამთარში, თურმე, თავფარავანში ტემპერატურა მინუს 37 გრადუსამდე ეცემა. ფარავნის ტბა ყინულის ისეთი სქელი ფენით იფარება, რომ ზედ მანქანები თავისუფლად გადადიან.

ექსპედიციები, როგორც წესი, ყოველწლიურად 14 ივლისიდან 14 აგვისტომდე ეწყობა. 2002 წელს უნივერსიტეტიდან გასულმა ჯგუფმა ტბაში მოზრდილი ობიექტი აღმოაჩინა. ოკეანოლოგებმა დაიწყეს წყალქვეშა მიდამოს აგეგმვა. 2003 წელს კი ნიველირმა დააფიქსირა ამ ობიექტის სიმაღლე და კედლების სისქე.

როგორც ითქვა, მაშინ ვერცერთი არქეოლოგი ვერ ამტკიცებდა — ზემოხსენებული ობიექტი ეკლესია იყო თუ ყორღანი. მხოლოდ 2004 წელს კარტოგრაფ ჯანო კეკელიას მიერ ჩატარებული ნიველირების შედეგად გაირკვა ფარავნის ტბის წყალქვეშ ყორღანის არსებობა.

2006 წელს ექსპედიციას მყვინთავების



ჯგუფი შეუერთდა. წელს უნივერსიტეტიდან სამცხე-ჯავახეთში წასული ჯგუფი რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ დააფინანსა. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პარმენ მარგველაშვილი. ,,ახალგაზრდა სტუდენტები ჩვენთან ერთად ეძებდნენ ნივთებს, რომელთა უმეტესობა ყორღანის გარეთ აღმოჩნდა. ეს იყო, როგორც შუა საუკუნეებისდროინდელი, ასევე ბრინჯაოს ხანის ნივთები: გამომწვარი თიხის ჭურჭელი და მათი ნატეხები, ყელსაბამები და სხვა..." — აღნიშნა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ირმა მაკალათიამ.

ახალი აღმოჩენა მეცნიერებს იმაზე მიუთითებს, რომ ფარავნის ტბის ქვეშ, ყორღანის გარშემო, უწინ შეიძლება ნასოფლარი ყოფილიყო, რომელიც დროთა განმავლობაში წყლით დაფარულა.

,,მთავარი განძი ყორღანშია", — აღნიშნა ქალბატონმა ირმამ. მისი თქმით, ჯანო კეკელიას მტკიცებით, ყორღანი გაძარცვული არ არის. ის, უბრალოდ, სიმძიმის გამოა ჩატეხილი.

წლევანდელი საზაფხულო ექსპედიცია ისე დასრულდა, რომ ყორღანში შეღწევა კვლავ ვერ მოხერხდა. დანიშნულების ობიექტამდე მისვლას უამრავი ფაქტორი ართულებს. როგორც წესი, ბელადის ცხედრის დასვენების შემდეგ, ცენტრამდე მისასვლელ ყველა გზას ხერგავდნენ. ამჟამად შედგენილია მისასვლელი გზების სქემა, რაც ექსპედიციის წევრებს მომავალში კარიდან ცენტრამდე მისასვლელ გზას, ალბათ მოაძებნინებს. ,,ბელადებს ოქროსაც ატანდნენ. ვინ იცის, ფარავნის ტბაში, განძი გველოდება" — ახალი აღმოჩენის იმედით ირმა მაკალათიამ მორიგი საზაფხულო ექსპედიცია უკვე დაგეგმა.

# არ გავქრეთ მსოფლიოს ამ უკანასკნელ გაღიმებაში...

პირველი გვერდიდან

მიხეილ ქარელი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გურამ თევზაძე არიან. ფილოსოფოს გურამ თევზაძის მხრიდან მამარდაშვილზე წიგნის გამოცემის ინიციატივა აბსოლუტურად გასაგებია, მით უფრო, რომ მერაბ მამარდაშვილის ცხოვრებასა და მის შემოქმედებას ქართველთა ძალზე უმნიშვნელო ნაწილი იცნობს. ეს პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან, რაც მამარდაშვილსა და ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შორის უთანხმოებას უკავშირდება. რაც შეეხება პრეზიდენტის რწმუნებულის ინიციატივას, ეს ნამდვილად დასაფასებელია, რადგან მერაბ მემარდაშვილზე და მის შემოქმედებაზე საუბარი ინერციით დღემდე იკრძალება სხვადასხვა წრეებში. წიგნის გამოცემის მოთავე აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი მიხეილ მახარაძეა.

„ერთ-ერთ გამომცემლობაში სტატია მივიტანე — „მერაბ მამარდაშვილი და ეგზისტენციალიზმი". ეს წერილი რედაქტორმა არ დამიბეჭდა: ,,ამ კაცს საქართველოზე რაღაცები აქვს ნათქვამიო". აღნიშნა ჩვენთან საუბარში სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის კულტურის ფილოსოფიის განყოფილების გამგემ თეიმურაზ მთიბელაშვილმა, რომელიც წიგნზე სხვა ფილოსოფოსებთან ერთად მუშაობს. ,,ჩვენი დიდი სურვილია, ქართველმა მკითხველმა დაინახოს მერაბი, როგორც სულით ხორცამდე საქართველოზე შეყვარებული კაცი. ქართველმა ხალხმა მერაბთან დამოკიდებულებაში ერთიანი პოზიცია უნდა შეიმუშაოს, რაც გარკვეული შერიგების საფუძველი გახდება. მამარდაშვილისა და გამსახურდიას მიმდევრებად საზოგადოების დაყოფა უკვე აღარ შეიძლება." — თვლიან წიგნის ავტორები.

**,,მერაბ მამარდაშვილი არის ის მოაზროვნე, რომელსაც თავის დროზე იყენებდა შევარდნაძე, რომელსაც არაფერი ესმოდა მამარდაშვილის ფილოსოფიისა. ჭკვიანი ხელისუფლება სწორედ მამარდაშვილს უნდა ეყრდნობოდეს და იყენებდეს, იგივე, ეროვნულ პოლიტიკაში." — ამბობენ დიდი ფილოსოფოსის მიმდევრები.**

ფილოსოფოსებსა და პოლიტიკოსებს შორის გარკვეული დაპირისპირება ისტორიულადაა ცნობილი. ,,თუ კაცი ხარ, ჩამომეცალე, მზეს ნუ მიჩრდილავო" — დაახლოებით ასე, პირდაპირ და მოურიდებლად მიმართა დიდ ალექსანდრე მაკედონელს კასრში მჯდომმა დიოგენე სინოპელმა. **ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები ყოველთვის დაობენ ერთმანეთში იმის დასადგენად, თუ ვის ხელში უფრო მეტი ძალაუფლებაა. რა მართავს ქვეყანას — ფილოსოფიური გონება თუ ფიზიკური ძალა? მერაბ მამარდაშვილზე გამოსაცემად მომზადებულმა წიგნმა, ეგებ, ამ შეკითხვაზე პასუხი მოგვაძებნინოს.**

წიგნი — ,,თავისუფალი ვარ, რათა ვიბრძოლო თავისუფლებისთვის", სავარაუდოდ, ნოემბრის დასაწყისში გამოვა. მერაბ მამარდაშვილის, ასე ვთქვათ, მოსწავლეები დღეს მისი ფილოსოფიური აზროვნების და, პირველ რიგში, მისი დიდი პიროვნების ქართველ საზოგადოებამდე მიტანას ცდილობენ.



*მერაბ მამარდაშვილი*

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ზაზა ფირალიშვილი** იხსენებს:

— ვერ გეტყვით, რომ განსაკუთრებით ხშირი ურთიერთობა მქონდა მასთან. რეგულარულად ვესწრებოდი მის საჯარო ლექციებს, მაგრამ გასაუბრების საშუალება მხოლოდ იშვიათად მეძლეოდა. და მაინც, მისი გავლენა იმ წრის წარმომადგენელთა ცხოვრებაზე, რომლებიც მისი ლექციების წყალობით ჩამოყალიბდა, არ ამოიწურება შეხვედრების შესახებ კონკრეტული მოგონებებით. რაც მთავარია, ჩვენ დაგვრჩა მასთან ერთგვარი ფარული დიალოგის განცდა და მთავარი ეს არის. როგორც ერთხელ ბატონმა ზაზა შათირიშვილმა თქვა, მერაბ მამარდაშვილს არ შეუქმნია ფილოსოფიური სკოლა, ამ სიტყვის საყოველთაოდ გავრცელებული მნიშვნელობით, სამაგიეროდ, მან მთელი ფილოსოფიური საძმო შექმნა საქართველოში, პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისა და პატიოსნად ფიქრის პრინციპებით რომ იყო გაერთიანებული. მისგან ვსწავლობდით, ალბათ, უმთავრესს, სახელდობრ იმას, რომ, მიუხედავად ბუნებისა თუ საზოგადოებრივი ძალების წინააღმდეგობისა, რჩება ერთი რამ, რაც ჩვენ განუხრელად შეიძლება ვაკეთოთ: ეს არის პატიოსნად აზროვნება. მთავარი ის კი არ არის, რა შედეგს მიაღწევ, არამედ ის, რომ თავად აზროვნების აქტში იყო თავისუფალი და პატიოსანი და მხოლოდ ასე შეიძლება განიცადო აზრით მოგვრილი სიხარული. ვისაც ახსოვს 80-იანი წლები, მითუმეტეს, ვისაც საბჭოთა გამოცდილება აქვს, იოლად გაიგებს, თუ როგორ თავისუფლდებოდა ამით ჩვენში ის სულიერი ძალები, რომლებითაც თავისუფლებას უნდა შევხვედროდით.

ბატონი მერაბი 1990 წლის ნოემბერში გარდაიცვალა. არ ვიცი, ვის როგორ და მე ზოგჯერ ისეთი განცდა მაქვს, რომ ის ცოცხალი რომ ყოფილიყო, ბევრი ცუდი რამ ჩვენს ცხოვრებაში აღარ მოხდებოდა. თომას მანს უთქვამს, როდესაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების შესახებ აუწყეს: საოცარია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის მოხუცი ცოცხალი რომ ყოფილიყო (ლევ ტოლსტოის გულისხმობდა), ეს, ალბათ, არ მოხდებოდაო. რაღაც მსგავსს ვგულისხმობ.

**— თქვენ მისი საჯარო ლექციები ახსენეთ. რა აკავშირებდა მერაბ მამარდაშვილს უნივერსიტეტთან?**

— იგი უნივერსიტეტის თანამშრომელი არ ყოფილა. როგორც მახსოვს, ერთხელ გაჩნდა ერთ-ერთ საუნივერსიტეტო თანამდებობაზე მისი მოწვევის იდეა, მაგრამ სწრაფადვე მიივიწყეს. ამ თემაზე ვრცლად საუბარი არ მინდა. ჩვენში ძალაუფლებისა და მავანთა სოციალური პრესტიჟის ინტერესები ძალზე ხშირად უპირისპირდება ელემენტარულ სამართლიანობას. და მაინც, იგი თავისი საჯარო ლექციებით უნივერსიტეტის იდეას ემსახურებოდა, რადგან ესმოდა, რომ სწორედ უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს პატიოსნად მოაზროვნე და ადამიანური წესიერების მიმართ ერთგული მოქალაქე _ არჩევნების დღეს შეიძლება უპრიანი იყოს ამის თქმა. როგორ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, პირველად სწორედ მისი წყალობით გავიაზრე, თუ რამხელა პასუხისმგებლობას გაკისრებს ის, რომ ხარ მოქალაქე.

მაშინ ასეთივე საჯარო ლექციებს კითხულობდნენ ბატონები აკაკი ბაქრაძე და ზურაბ კიკნაძე. ძალზე კარგი დრო იყო.

ცოტა ვინმე, მათ შორის, თვალსაჩინო მეცნიერიც მეგულება, ვინც წლების მანძილზე შეძლებს და ასობით ადამიანს ნებაყოფლობით მოუყრის თავს ლექციაზე კვირაში ერთხელ და ოთხი საათის განმავლობაში ექსტატურად განაცდევინებს წმინდა აზრის სამყაროს. ბატონ მერაბს ეს შეეძლო და ესეც საკმარისია მის დასახასიათებლად. ეს საათები ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთია ჩემი და ჩემისთანების ცხოვრებისა. უყვარდა გამეორება, რომ საბჭოთა სინამდვილე ბოროტება იყო თუნდაც იმიტომ, რომ იგი განუწყვეტლივ შობდა ადამიანებს, რომლებიც იქ არ არიან, სადაც არიან. მის ლექციებზე სწორედ ამას ვსწავლობდით: ვყოფილიყავით იქ, სადაც ვართ. ჩვენ ხომ გამუდმებით სადღაც სხვაგან ვართ: წარსულში, მომავალში, საკუთარ თუ საზოგადოებრივ ფანტაზიებში, მაგრამ ნაკლებად ვართ იქ, სადაც ვართ. წმინდა აზრის სტიქია, რომელიც მასთან ყოფნისას ისადგურებდა, საუკეთესო გზა იყო ამ მიზნის მისაღწევად. ქრისტიანიც ხომ მხოლოდ ასე შეიძლება იყო.

ჩემთვის ლექცია დღემდე ამას ნიშნავს: უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა იყოს მცდელობა, რომ თავშეყრილმა ადამიანებმა ერთად გაიკვალონ გზა იმის გააზრებისაკენ, რომ ჩვენ, მართლაც აქ ვართ და, როგორც სულიერ არსებებს, ძალზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობები გვაკისრია, პირველ რიგში, ისევ და ისევ პატიოსნად აზროვნების გამო პასუხისმგებლობა.

**— ეს ადამიანი ჩვენში ერთგვარად მივიწყებულ იქნა...**

— ყველაფერს აქვს თავისი კეთილი მხარე. იუბილეები და საზეიმო შეხვედრები იმ ადამიანებს დავუთმოთ, ვისაც ეს სჭირდება. მერაბ მამარდაშვილის შემთხვევაში საქმე გვაქვს კაცთან, ვინც, თუ გვახსოვს, უკვე ბევრს ნიშნავს. იგი არ არის იმის ღირსი, რომ სოციალურ დეკორაციად ვაქციოთ. ახლახან ბატონი მიხეილ მახარაძის დახმარებით ფილოსოფიის ინსტიტუტმა მოამზადა მისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელიც სულ მოკლე ხანში გამოვა. ვფიქრობ, ეს არის ძალზე კარგი საბუთი იმისა, რომ ამ ადამიანის გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე გრძელდება და იგი კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებს თავს.

## რით არის მერაბ მამარდაშვილი აქტუალური?

,,მოდით, ჩავწვდეთ იმ უხილავ ძაფებს, რომლებიც მსოფლიო ბედთან გვაკავშირებს. ჩვენი ბედი სწორედ იქიდან მოვა.

რანი ვიქნებით? ჩვენი ბედის აქტიური შემოქმედნი? მაშინ ჩვენი ბედი მსოფლიო ჩარჩოში გადაწყდება; თუ დავრჩებით პასიურ სუბიექტად, რომელსაც ბედი ისე დაეცემა, როგორც აგური ეცემა თავში ადამიანს?

არ გავქრეთ მსოფლიოს ამ უკანასკნელ გაღიმებაში..."

*ამონარიდი*
*მერაბ მამარდაშვილის წერილიდან*
*,,დავიცვათ თამაშის წესი"*

,,იმისათვის, რომ დემოკრატიისათვის მოემზადო, უკვე დემოკრატიაში უნდა იყო. დემოკრატია უკვე არსებულ დემოკრატიულ პირობებში შეიძლება ისწავლო. აქედან დასკვნა უბრალოა: ნახტომი უნდა გავაკეთოთ. სადღაც უნდა დავეწიოთ მატარებელს, რომელსაც 1905-07 წლებში ჩამოვრჩით რუსეთთან ერთად, რის შედეგადაც რუსეთმა 1917 წლის რევოლუცია მიიღო, ჩვენ კი — 1921 წლის ანექსია. ასე დაგვირგვინდა იმ დროს ჩვენში მიმდინარე პროცესები. კაცობრიობა კი ამასობაში წინ წავიდა. და მაინც ისტორიული მდინარების დღევანდელი დღე უეცრად ისეთი მხარით შემობრუნდა, რომ შანსი გვეძლევა, კვლავ შევახტეთ მატარებელს, შევუერთდეთ ისტორიას..."

,,ჩვენ გვჭირდება არა მარტო იურიდიული დადასტურება დამოუკიდებლობისა, არამედ გვჭირდება სახელმწიფოებრიობა, როგორც პრაქტიკა".

*ამონარიდები წერილიდან*
*,,თავისუფალი ვარ, რათა*
*ვიბრძოლო თავისუფლებისათვის"*

„ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წინ უსინათლონი მიგვიძღოდნენ. ისინი არა მხოლოდ თავად იყვნენ ბრმები, არამედ იმათაც აბრმავებდნენ, ვინც ცდილობდა, თვალხილული ყოფილიყო".

*ამონარიდი წერილიდან*
*,,სიკვდილით მოხიბლულნი"*

# რუსთაველის გამზირზე ლადო ასათიანის ძეგლი დაიდგმება

თემურ ჭუმბურიძე

მომავალ წელს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, დაიდგმება კიდევ ერთი ქართველი პოეტის, ლადო ასათიანის ძეგლი. ბრინჯაოს ქანდაკებაში გაცოცხლებული პოეტი გამვლელს, ალბათ, ყოველთვის შეახსენებს: „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა..."

ნათქვამია, შთამომავლობა დიდებულ წინაპარს ძეგლს მადლიერების, სიყვარულისა და უკვდავყოფის ნიშნად უდგამსო. თუმცა ის, რომ დღემდე თბილისში ლადო ასათიანის ძეგლი არ იყო, შთამომავლობის უმადურობას სულაც არ ნიშნავს. უბრალოდ, დღემდე არავის გახსენებია, რომ ქალაქს ლადო ასათიანის ძეგლი აკლდა.

მომავალ წელს ლადო ასათიანს ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდებოდა. რუსთაველის გამზირზე პოეტის ძეგლის დადგმის შესახებ გადაწყვეტილება თბილისის მთავრობამ უკვე მიიღო.

ძეგლის ავტორი მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიაა, რომლის ნამუშევარია გმირთა მოედანთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი, სენაკში ჟიული შარტავას ძეგლი...

როდის დაიდგმება თბილისის ცენტრში ლადო ასათიანის ძეგლი? — ამ კითხვით მივმართეთ მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას.

**— ბატონო გიორგი, როდის დაიბადა ძეგლის შექმნის იდეა?**

— მახსოვს, ოცდაათი წლის წინ საუბარი იყო, რომ პოეტის ძეგლი მის მშობლიურ კუთხეში, ცაგერში უნდა დადგმულიყო. მაშინ ამისთვის კონკურსიც გაიმართა, გამარჯვებულიც კი გამოვლინდა, მაგრამ ძეგლის გახსნას უსახსრობამ შეუშალა ხელი.



**— ოცდაათი წლის შემდეგ ვის გაახსენდა, რომ საქართველოში ლადო ასათიანის ძეგლი არ იყო?**

— თბილისის მერიას. სასიხარულო ფაქტია, რომ თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ლადო ასათიანის ძეგლის დადგმის თაობაზე, რაშიც ფულს სახელმწიფო თუ გადაიხდის, თორემ არა მგონია ვინმეს სპონსორობის სურვილი გაუჩნდეს.

ქანდაკება ბრინჯაოში უნდა ჩამოისხას. ეს არ უნდა იყოს ძეგლი, ამ სიტყვის სრული გაგებით, ნატურალური ზომის ქანდაკება რუსთაველის გამზირზე მარადიულად ახალგაზრდა პოეტის აჩრდილს უნდა წარმოადგენდეს.

**— ქანდაკებაზე მუშაობა უკვე დაიწყეთ?**

— არა, ჯერჯერობით მხოლოდ ესკიზები არსებობს. ახლა საჭიროა ჩამოისხას მოდელი. თბილისის მთავრობის იმედად ვარ. მიხარია, რომ დაინტერესდნენ და მხარდაჭერა გამოთქვეს.

**— რადგან ესკიზი უკვე არსებობს, სავარაუდოდ, რა დრო დასჭირდება მის დასრულებას?**

— ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. თუმცა ნავსი გატყდა და საიუბილეო წელთან დაკავშირებით, მომავალ წელს, იმედი მაქვს, პოეტის ძეგლი მზად იქნება.






უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სასემინარო ბიბლიოთეკის პრეზენტაციას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაესწრო.



შეხვედრა პირველკურსელებთან.



პირველი გოლი თბილისის უნივერსიტეტის ახლადგახსნილი სტადიონის კარში.



კონცერტი უნივერსიტეტის ეზოში – „საჩუქარი სტუდენტებს“.

# ყველა ქართული სიტყვა ინგლისურად

## დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი გამოვიდა

მერვე გვერდიდან

საერთო რედაქციით მომზადებული „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. სათანადოდაა გათვალისწინებული ლიტერატურული ტექსტებისა და ფოლკლორის აკადემიურ გამოცემებზე დართული შენიშვნები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ლექსიკონში პირველად შევიდა ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუშები, რომლებსაც ჯერ კიდევ სტუდენტობიდან აგროვებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად ისრაელში მომუშავე პროფესორი **რუბენ ენუქაშვილი.**

ლექსიკონის ძირითად ნაწილშია მოქცეული ის ლექსიკაც, რომელიც სათანადოდაა გათვალისწინებული და, ჩვეულებრივ, ცალკე ნაკვეთებად შეაქვთ ხოლმე ამგვარ გამოცემებში, მაგალითად, საკუთარი სახელები (ადგილთა და პირთა სახელები) და შემოკლება-აბრევიაციები. მოცემულია ასევე საერთაშორისო სიტყვების ყველა ის ვარიანტი, რომელთა მნიშვნელობაც ინგლისურში განსხვავებულია.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: თავის დროზე სულხან-საბა ორბელიანს არც ერთი სიტყვა არ დაუწუნებია „სიტყვის კონისთვის,“ მათ შორის ეგრეთწოდებული „ცუდი სიტყვებიც“. ლექსიკონში ყველა სიტყვის შეტანის აუცილებლობაზე მიუთითებენ საზღვარგარეთელი ლინგვისტები. საბჭოთა გამოცემებში და, შესაბამისად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც იკრძალებოდა ე.წ. „დაუბეჭდავი სიტყვების“ შეტანა. რაც შეეხება „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს“, ამ მხრივ იგი დაექვემდებარა დასავლეთის ლექსიკოგრაფიულ წესებს და, ამგვარად, დაადგა სულხან-საბას გზას.

ამას გარდა, „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში“ შევიდა დიდძალი მასალა თანამედროვე სასაუბრო მეტყველებიდან, მათ შორის ვულგარული და სპეციალური გამოთქმებიც, რომლებიც 2001-2004 წლებში საველე მუშაობის შედეგად მოიპოვა **ლორენს ბროერსმა.** იგი ახალგაზრდებს შემოიკრებდა ხოლმე, ჩართავდა მაგნიტოფონს და მათ მეტყველებას აფიქსირებდა. მისი მუშაობის ამპლიტუდა მეტად ფართო იყო – დაწყებული დედათა მონასტრით და მძღოლებით დამთავრებული (ამ მიზნით იგი სპეციალურად ჩავიდა ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერშიც).

ფაუნისა და ფლორის აღმნიშვნელი ქართული ტერმინების თარგმნისას შემდგენლებს ფასეული კონსულტაციები გაუწიეს ამ დარგების სპეციალისტებმა: **ივანე ნახუცრიშვილმა** (ბოტანიკის ინსტიტუტი), **რევაზ ჟორდანიამ, არნოლდ გეგეჭკორმა** (თსუ ზოოლოგიის კათედრა), **ირაკლი ელიავამ, თეიმურაზ მუსხელიშვილმა** (ზოოლოგიის ინსტიტუტი), **მერი კვაჭანტირაძემ** (მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი). მწერალმა და მთარგმნელმა **ნოდარ ებრალიძემ** შეაგროვა ინფორმაცია მეცხენეობის ზოგი, ქართულ წყარო-ლექსიკონებში დაუდასტურებელი ტერმინისა და საქართველოს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სახელების, კერძოდ, მთებისა და მთიანი სოფლების შესახებ. ლექსიკონი უხვად არის ილუსტრირებული ქართული ანდაზებით, რომელთაგან ზოგის ინტერპრეტაციაში შემდგენლებს დიდად დაეხმარა ცნობილი მწერალი და მეცნიერი **ვახუშტი კოტეტიშვილი,**

და აი, ლექსიკონზე ექვსი წლის (2001-2006) დაძაბული მუშაობის შემდეგ, დაიბეჭდა წიგნის 1000 ეგზემპლარი. აქედან საქართველოს მხოლოდ 250 ცალი ერგო. ლექსიკონი უფასოდ დაურიგდა სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებს: საჯარო ბიბლიოთეკას, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სხვადასხვა უნივერსიტეტებისა თუ მათი ფილიალების ბიბლიოთეკებს. მოთხოვნა ამ წიგნზე კი ნამდვილად დიდია და მისი ხელმეორედ გამოცემა ახლო მომავალშია ნავარაუდევი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“ სწორედ ინგლისელებმა გამოსცეს და ამით დააკმაყოფილეს საზღვარგარეთ ქართულ ენასა და კულტურაზე მომუშავე მეცნიერთა მოთხოვნა.

დასასრულ, გთავაზობთ ლექსიკონის წინასიტყვაობიდან ამოღებულ ნაწყვეტს, რომელიც პროფესორ დონალდ რეიფილდს ეკუთვნის: „ზოგი რჩევა შემთხვევით არასწორად გავიგე, ზოგიც არ გავიზიარე და, მართებულად თუ უმართებულოდ, მაინც ჩემებურად გადავწყვიტე. რამდენადაც საბოლოო გადაწყვეტილება მე, როგორც მთავარ რედაქტორს, უნდა მიმეღო და ლექსიკონის შედგენის ფიზიკური შრომაც მე მქონდა ნაკისრები, მთელს პასუხისმგებლობას ყველა შეცდომაზე, გამორჩენილ სიტყვებსა თუ სხვა ხარვეზებზე მე ვკისრულობ. ყველა კონსტრუქციულ შენიშვნას მივესალმები და მადლიერებით მივიღებ“.

# არც ერთი კითხვა უპასუხოდ!

## უნივერსიტეტში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შეიქმნა

ალექსანდრე ცქიტიშვილი



თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სულ რაღაც ოთხი თვეა, ასრულებს თავის ფუნქციას. მანამდე, წლების განმავლობაში, ერთ-ერთ უდიდეს სასწავლო დაწესებულებას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, პრაქტიკულად, არ ჰყავდა. შესაძლოა, ფორმალურად მსგავსი განყოფილება ფუნქციონირებდა, მაგრამ როგორც იტყვიან – მხოლოდ ქაღალდზე. ამიტომაც საზოგადოებასთან ურთიერთობის (იგივე PR -ის) მიმართულებით სერიოზული პრობლემები შეიქმნა, რამაც ზაფხულში უნივერსიტეტში სერიოზული კრიზისი გამოიწვია.

გარკვეული პოლიტიზირებული ჯგუფები საზოგადოებას დამახინჯებულად აწვდიდნენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების თაობაზე და ამტკიცებდნენ, რომ „მიმდინარეობს უნივერსიტეტის მიზანმიმართული ნგრევა“. რაკიღა უნივერსიტეტის PR სამსახური არ არსებობდა და მსგავს ინფორმაციებზე არ ხდებოდა სათანადო რეაგირება, რეფორმის მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს თსუ-ს თანამშრომელთა საკმაოდ დიდი ნაწილის მოტყუება. მათ უნდობლობა გამოუცხადეს უნივერსიტეტს და მონაწილეობა მიიღეს საპროტესტო მიტინგებში.

სწორედ ამ კრიზისის პერიოდში დაიწყო მუშაობა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა. მართალია, ეს სამსახური ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული და მხოლოდ ერთი თანამშრომლით არის წარმოდგენილი, მაგრამ, საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით, ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა. პრესკონფერენციების, ბრიფინგების, პრეზენტაციების ორგანიზებით, პრეს-რელიზების გავრცელებით და ინფორმაციის მოპოვებისას ჟურნალისტებისათვის სათანადო პირობების შექმნით ჩვენ, პრაქტიკულად, მოვახერხეთ შეგვეჩერებინა დეზინფორმაციის ის ბინძური ნაკადი, რაც მიზანმიმართულად ვრცელდებოდა უნივერსიტეტის სახელისა და რეპუტაციის შესაბღალად.

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რაც თსუ-ს PR სამსახურში დაიგეგმა, ეს იყო მასმედიის ხელმძღვანელებთან – გამომცემლებთან, რედაქტორებთან, პროდიუსერებთან თსუ-ს ადმინისტრაციის შეხვედრა, სადაც მათ უშუალოდ გავაცანით, რა გეგმები ჰქონდა უნივერსიტეტს და ვუპასუხეთ მათ შეკითხვებს. ამ შეხვედრამ დიდი გავლენა იქონია მასმედიის შემდგომ მუშაობაზე. ჟურნალისტები თანდათან მიხვდნენ, რომ უნივერსიტეტის ნიუსმეიქერები არ არიან ნესტან კირთაძე და მსგავსი ოდიოზური ფიგურები, რომლებიც წლების განმავლობაში ათასგვარი სისულელით კვებავდნენ მასმედიას და საზოგადოებას. სწორედ აქედან დაიძრა ყინული.

ჩვენი სამსახურის დევიზია საზოგადოების სწორი ინფორმირება. ძალიან გამიმართლა და მიხარია, რომ PR-ის არსი ჩემზე უკეთესად და, რაც მთავარია, სწორად ესმის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს. ბატონი გიორგი ხუბუა ამბობს, რომ არ არსებობს კითხვები, რომელზეც დღეს უნივერსიტეტს არ შეუძლია უპასუხოს. სწორედ ეს არის ჩვენი დევიზიც – არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ!

სხვა საქმეა, როგორ ვასრულებთ ამ ამოცანას. ამჟამად ჩემს არქივში თავმოყრილია 30-მდე პრეს-რელიზი და 7 გამოხმაურება მასმედიით გავრცელებულ სხვადასხვა ინფორმაციაზე, რომელთა უმეტესობა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში და შეგიძლიათ გაეცნოთ. თუ ამას დავუმატებთ რამდენიმე გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუს და კომენტარებს, შემიძლია ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვთქვა, რომ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური კარგად მუშაობს. თუმცა, ეს არ არის თვითკმაყოფილება და შენიშვნებსაც ბევრს ვიღებ, რადგან საზოგადოების სწორად ინფორმირებისათვის წინ კიდევ ვრცელი სამუშაო გველის.

შემდგომში ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდება თსუ-ს თანამშრომელთა შიდაინფორმირებაზე. ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. რაც შეეხება მედიას, იმედი გვაქვს, სამომავლოდ ჟურნალისტებს დავაინტერესებთ არა პოლიტიზებული, არამედ წმინდა სამეცნიერო თემებით, ახალი აღმოჩენებით და ა. შ.

### შეკითხვა რექტორატს

უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსდა საფოსტო ყუთი წარწერით – ,,შეკითხვა რექტორატს”, რისი საშუალებითაც შეგიძლიათ მოგვაწოდოთ თქვენი ხედვა, შეკითხვა, აზრი, განწყობა...

გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტში” ნახავთ პასუხს ყველა თქვენს შეკითხვაზე!

### საკონტაქტო ტელეფონები:

| | |
|---|---|
| რექტორის მისაღები | 22-51-07 |
| რექტორის მოადგილის მისაღები | 29-08-25 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | 23-03-80 |
| საერთო განყოფილება (კანცელარია) | 23-39-16; 22-59-44 |
| სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური | 29-08-46; 25-08-13 |
| სტუდენტთა მომსახურების განყოფილება | 91-27-91 |
| საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი | 22-56-79 |
| სამუზეუმო სამსახური | 29-08-42 |

**ფაკულტეტების დეკანატები:**

| | |
|---|---|
| ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-08-07 |
| ჰუმანიტარული ფაკულტეტი | 22-21-08 |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-05-94 |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 30-45-36 |
| იურიდიული ფაკულტეტი | 22-37-10 |
| მედიცინის ფაკულტეტი | 94-34-54 |

კონსულტანტი ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან ონეზაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე,
ნოდარ ხადური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34
www.tsu.ge
@ newspaper@tsu.ge